USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

BLACKBERRY PRODUCTION MANUAL

Georgia New Economic Opportunities Initiative

ეს ნაშრომი ლიცენზირებულია არაკომერციული საერთაშორისო ლიცენზიის Creative Commons Attribution-NonCommercial 4.0 International License მიერ. ლიცენზიის ასლი მოიპოვება ამ ვებ- გვერდზე https://creativecommons.org/licenses/by-nc/4.0/

ამ ლიცენზიით საშუალება გეძლევათ:

- ნაშრომის გავრცელების ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით
- ნაშრომის ადაპტირების და გარდაქმნის

პირობები:

- ატრიბუცია: ამ ლიცენზიის გამოყენების შემთხვევაში ლიცენზიის ელექტრონული გვერდი უნდა იყოს მითითებული. ამ ნაშრომის გავრცელებით შთაბეჭდილება არ უნდა შეიქმნას რომ ლიცენზორი მხარს უჭერს თქვენს მიერ მასალის გამოყენებას.
- არაკომერციული ხასიათი. ამ მასალის კომერციული მიზნებისათვის გამოყენება დაუშვებელია.
- დამატებითი შეზღუდვები. მასალების ლიცენზიით დაშვებული გამოყენების კანონიერად შეზღუდვა დაუშვებელია.

უწყება:

- ლიცენზორის შეზღუდვები არ ვრცელდება ამ მასალის საჯაროდ ხელმისაწვდომ ელემენტებზე ან/და მასალის გამოყენებისათვის გამონაკლისის არსებობის შემთხვევაში.
- გარანტია არ აძლევა. ამ ლიცენზიამ შეიძლება არ მოგცეთ ყველა საჭირო ნებართვა მასალის მოხმარებისთვის. მაგალითად, სხვა უფლებებმა როგორიცაა საჯაროობა, კონფიდენციალურობა ან მორალური უფლებები, შეიძლება შეზღუდოს ამ მასალის გამოყენება.

This work is licensed under the Creative Commons Attribution-NonCommercial 4.0 International License. To view a copy of this license, visit https://creativecommons.org/licenses/by-nc/4.0/

Under this License

You are free to:

- Share: copy and redistribute the material in any medium or format
- Adapt: remix, transform, and build upon the material

Under the following terms:

- Attribution: You must give appropriate credit, provide a link to the license, and indicate if changes were made. You may do so in any reasonable manner, but not in any way that suggests the licensor endorses you or your use.
- Non-Commercial: You may not use the material for commercial purposes.
- No additional restrictions: You may not apply legal terms or technological measures that legally restrict others from doing anything the license permits.

Notices:

- You do not have to comply with the license for elements of the material in the public domain or where your use is permitted by an applicable exception or limitation.
- No warranties are given. The license may not give you all of the permissions necessary for your intended use. For example, other rights such as publicity, privacy, or moral rights may limit how you use the material.

დევიდ ვიჩა

მაყვალი

ფერმერის გზამკვლევი

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE | GEORGIA

დევიდ პიჩა

მაყვალი

ფერმერის გზამკვლევი

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

წინამდებარე პუბლიკაციის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ გაწეული დახმარების შედეგად. პუბლიკაცია შემუშავებულია USAID-ის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების (NEO) ინიციატივის მიერ და მისი შეხედულებების გათვალისწინებით. პუბლიკაცია არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოსაზრებებს.

თბილისი 2014

ავტორი: დ. პიჩა (ლუიზიანას უნივერსიტეტის მეხილეობის პროფესორი)
თარგმანი: ა. ადამია
რედაქტორი: ზ. ბობოქაშვილი (ასოცირებული პროფესორი)
გამოცემის კოორდინატორი: ე. შერმადინი (პროექტის კონსულტანტი)

© პირველი გამოცემა

მაყვალი/დევიდ პიჩა, რედ. ზ.ბობოქაშვილი, თბილისი, 2014.
42 გვ. ილუსტრაციებით – (ფერმერის გზამკვლევი), ქართულ ენაზე.

ISBN 978-9941-0-7099-0

გზამკვლევი განკუთვნილია მოცემულ სფეროში მომუშავე ფერმერების, აგრონომების, სპეციალისტების, მოყვარული მებაღეებისა და სხვა დაინტერესებული პირების ფართო წრისთვის.

USAID-ის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივა – NEO
ნ. რამიშვილის ქუჩა # 6 ა
თბილისი 0179, საქართველო
ტელ: +995 32 225 05 61
ფაქსი: +995 32 225 05 41
office@georgianeo.ge
www.georgianeo.ge

სარჩევი

შესავალი	4
ნაკვეთის შერჩევა	4
ზამთრის ყინვით გამოწვეული დაზიანება	5
ჯიშის შერჩევა	5
ნაკვეთის მომზადება	7
ორგანული ნივთიერებები	7
ნიადაგის ანალიზი	8
ნიადაგის pH-ის შეცვლა	9
დამლაშებული ნიადაგი	10
მინერალური ელემენტების შემცველობა	11
ნემატოდები	12
რიგების/შემაღლებული ბაზო-კვლების „ბედების” ფორმირება	12
მაყვლის ნაკვეთის გაშენება	13
სტანდარტული ნერგი მოსვენებულ მდგომარეობაში	13
ფესვის გამოყენება სანერგე მასალად	14
ინვიტრო სარგავი მასალა	14
მწვანე ნერგი	14
დარგვის სქემა	15
მცენარეთა სხვლა-ფორმირება	15
საყრდენი სისტემა	16
სხვლა	17
განოყიერება	18
ნაკელი	18
გრანულირებული სასუქი	19
ფერტიგაცია	19
ფესვგარეშე გამოკვება ფოთლებიდან მიკროელემენტებით	20
ფოთლის ანალიზი	21
დეფიციტის სიმპტომები	21
მორწყვა	22
ნიადაგის ტენიანობის შეფასება	23
დამტვერვა	24
სათბურში წარმოება	24
მავნებლებთან ბრძოლა	26
სარეველებთან ბრძოლა	26
მავნებელი მწერები	27
მარწყვის ცხვირგრძელა (Anthonomus signatus)	27
მესაფლავე ხოჭო (Coleoptera species)	28
მინაფრთიანა მერქნიჭამია (Agrilus ruficollis)	28
კენკრის ტკიპა (Acalitis assegi)	29
თრიფსები (Frankliniella occidentalis)	29
იაპონური ხოჭო (Popillia japonica)	30
მავნე კუსებურა (Chinavia hilaris, Euschistus servus)	31
ციტრუსის ფოთოლხვევია (Argyrotaenia francisana)	32
ბუგრი	33
ფრთათეთრა (Bemesia tabaci)	33
დაავადებები	34
ჭრაქი (Peronospora sparsa)	35
სეპტორიოზი (Septocyta ruborum)	35
ღეროს წყლულოვანი ლაქიანობა (Leptospaeria coniothyrium)	36
ჟანგა (Kuehneola uredinis)	37
ბაქტერიული გალიანი დიახბო (Agrobacterium tumefaciens)	37
ნაცარი(Sphaerotheca macularis)	38
ანთრაქნოზი (Elsinoe veneta)	38
ნაცრისფერი სიდამპლე (Botrytis cinerea)	39
ვირუსები	39
მაყვლის დაავადებების წინააღმდეგ გამოყენებული ფუნგიციდების ეფექტურობა	40
მოსავლის აღების და სიმწიფის მახასიათებლები	41
მოსავლის აღების მეთოდები	41

შესავალი

მაყვალი (Rubus-ის სახეობა) მაღალი ღირებულების მქონე ბუჩქოვანი კენკროვანი კულტურაა, რომლის მოყვანა წარმატებით არის შესაძლებელი საქართველოს მრავალფეროვან აგროკლიმატურ პირობებში. ამჟამად მაყვალი დიდი მოცულობით არ მოჰყავთ, მაგრამ მისი წარმოების გაფართოება ძალიან პერსპექტიულია. მაღალი ხარისხის მაყვლის სტაბილური მიწოდების შესაძლებლობის მქონე ფერმერებს გასაღების ბაზრის დიდი პერსპექტივა ექნებათ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე, მის ფარგლებს გარეთ. მაყვლის წარმოების გრძელვადიანი მდგრადობისთვის საჭიროა მოყვანის და მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების მუდმივი გაუმჯობესება, ასევე, მოსავლის აღების პერიოდის გახანგრძლივება ჯიშების დივერსიფიკაციის და სათბურების გამოყენებით.

მაყვლის მოყვანა შეიძლება ძალიან მომგებიანი იყოს, თუმცა მოყვანის ხარჯებიც საკმაოდ მაღალია. აუცილებელი წარმოების ხარჯები მოიცავს მაღალხარისხოვანი სანერგე მასალის შესყიდვას, წვეთოვანი სარწყავი სისტემის მონტაჟს, მცენარეთა დაცვის საშუალებების შეძენას და სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების, საყრდენი სისტემის მოსაწყობ მასალას და, ასევე, დასარგავად, გასასხლავად, მავნებლებისგან დასაცავად და მოსავლის ასაღებად საჭირო მუშახელს.

ამ სახელმძღვანელოს მიზანია მაყვლის წარმოების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოწოდება.

ნაკვეთის შერჩევა

მაყვლის გასაშენებლად ადგილის შერჩევისას საჭიროა რამდენიმე ძირითადი ფაქტორის გათვალისწინება; მათ შორისაა, ნიადაგის ტიპი და ნაყოფიერება, დრენაჟი, ქარისგან დაცვა, განათება, წყლის ხელმისაწვდომობა და ამ ადგილზე მოყვანილიწინამორბედი კულტურები. მაყვლის გასაშენებლად უნდა შეირჩეს კარგად განათებული ადგილი. მაყვალი არ უნდა დაირგას ხეების რიგების ან შენობების ჩრდილში. საუკეთესოა დრენაჟირების კარგი სისტემის მქონე, ბუნებრივად ნაყოფიერი, მაღალი ორგანული ნივთიერებებით მდიდარი (2-4%-იანი) ნიადაგი, სადაც pH-ის მაჩვენებელი მერყეობს 6.0-სა და 7.0-ს შორის. მაყვლისთვის ხელსაყრელია ქვიშნარი ან თიხნარი ნიადაგი, თუმცა ის კარგად ხარობს, ასევე, კარგი დრენაჟის მქონე თიხიან ნიადაგზეც. ნაკვეთის შერჩევისას წყლის დრენაჟის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მაყვლის ფესვთა სისტემა ნიადაგში 1 მეტრის ან მეტ სიღრმეზეა განვითარებული. მიზანშეწონილი არ არის მაყვლის გაშენება ქვედა შეუღწევი შრის მქონე ნიადაგის ნაკვეთზე. ჟანგბადის დაბალი შემცველობისადმი მაყვლის ფესვების მგრძნობიარობის გამო ნიადაგის ზედაპირიდან 1 მეტრის სიღრმეზე არ უნდა იყოს გრუნტის წყლები.

მაყვალი უნდა დაირგას სწორ ან ოდნავ დაქანებულ მიწის ნაკვეთზე. აუცილებელია ნარგავების გარშემო უზრუნველყოფილი იყოს ჰაერის სათანადო მოძრაობა. ჰაერის მოძრაობა ამცირებს ტენიანობას მცენარეთა გარშემო და ხელს უშლის ფოთლების დაავადების ხელშემწყობი პირობების შექმნას. ჰაერის მოძრაობა, ასევე, ამცირებს გაზაფხულზე მცენარეების მოყინვის საფრთხეს. როდესაც მცენარეები დარგულია შედარებით მაღალ, დაქანებულ ნაკვეთზე, ცივი ჰაერი მიემართება ქვევით, ნაკვეთის ყველაზე დაბალ შესაძლო წერტილში. ვინაიდან ცივი ჰაერი შეკავდება ყველაზე დაბალ წერტილში, ჰაერის სათანადო მოძრაობის პირობებში ნაკლებ სავარაუდოა გვიანი გაზაფხულის ყინვებით ნარგავების დაზიანება. მეორე მხრივ, საჭიროა მაყვლის დაცვა ძლიერი ქარისგან, რომელიც ამცირებს მცენარეთა სიძლიერეს სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში, იწვევს ბუჩქის ზრდის შეფერხებას და შეიძლება, გამოიწვიოს ზამთარში დაზიანება. ზაფხულის ცხელ ქარებს შეუძლია ნაყოფის დესიკაციის და სიდამწვრის გამოწვევა და მცენარის მოთხოვნილების გაზრდა წყალზე. ცხელი ქარის ზემოქმედება გამოიწვევს ბუჩქის სიძლიერისა და ნაყოფის ზომის შემცირებას.

ბორცვიან და მთიან ნაკვეთებში მაყვალი, როგორც წესი, ყველაზე კარგად იზრდება დაცულ ჩრდილოეთ ფერდობებზე. შესაძლებელია სამხრეთის ფერდობების გამოყენება, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ზამთარში დღის განმავლობაში მცენარეთა ტემპერატურა შეიძლება იყოს მაღალი. იანვარ-თებერვალში რამდენიმე დღის განმავლობაში თბილმა ამინდმა შეიძლება გამოიწვიოს ვეგეტაციის დაწყების პროვოცირება, მოგვიანებით დამდგარმა ცივმა ამინდებმა კი დააზიანოს ის.

ახალი ნერგები უნდა დაირგოს რაც შეიძლება შორს ველური მაყვლისა და ჟოლოსგან. მაყვლის ნარგავებზე დაავადების გავრცელების პროფილაქტიკისთვის ნაკვეთიდან 300 მეტრის ფარგლებში საჭიროა ტყის კენკრის ნარგაობის მოცილება.

ზამთრის ყინვით გამოწვეული დაზიანება

მაყვლის ყველა ჯიში მგრძნობიარეა ზამთრის ყინვებისადმი, თუმცა დაზიანების სიხშირე და სიმძიმე დამოკიდებულია ჯიშზე. მაყვალი კარგად იზრდება საქართველოს თბილ რეგიონებში და ნაკლებად ყინვაგამძლეა ჟოლოსთან შედარებით. მაყვალი შეიძლება სერიოზულად დაზიანდეს უჩვეულოდ ცივი ზამთრის და მინიმალური თოვლის საფარში. გარდა ამისა, შემოდგომაზე თბილი ამინდის შემდეგ ტემპერატურის სწრაფმა დაცემამ შეიძლება, გამოიწვიოს ღეროების დაზიანება, რადგან მათი აკლიმატიზაცია და სათანადო გაძლიერება არ მომხდარა ტემპერატურის ვარდნამდე. ძლიერი მოყინვით გამოწვეული დაზიანების სიმპტომებია ახალი კვირტების განუვითარებლობა ან საერთოდ ჩავარდნა შემდგომი წლის გაზაფხულზე. გაყინვით გამოწვეული დაზიანების შედეგად ზოგიერთი კვირტი ალაგ-ალაგ იზრდება, ფიქსირდება გახმობის ლაქები (სურათი 1).

სურათი 1. მაყვლის ღეროზე კვირტების ზრდის ნაკლებობა გაზაფხულზე ზამთრის ყინვით გამოწვეული დაზიანების გამო.

პირველი წლის ყლორტებზე მსხმოიარე (პრიმოკენი) ტიპის მაყვლის ჯიშები, რომლებიც ნაყოფს იძლევა გვიან ზაფხულის/შემოდგომის პერიოდში, ჩვეულებრივ, ყინვით არ ზიანდება. გაზაფხულზე ახალი Primocane სახეობის ჯიშის მაყვალი, რომელიც ნაყოფს იძლევა, მოგვიანებით გამოდის ვარჯის უბანში არსებული კვირტებიდან ან მიწისქვეშა ფესვებიდან. ეს ქსოვილები განლაგებულია მაყვლის შედარებით დაცულ ადგილებში, ამდენად, შედარებით გამძლეა მოყინვით გამოწვეული დაზიანებისგან, ვერტიკალურ ტოტებზე განლაგებული კვირტებისგან განსხვავებით.

ზამთრის ყინვა აზიანებს მაყვლის ყველა ჯიშის ღეროს იმ შემთხვევაში, თუ ტემპერატურა დაეცემა -20ºC-ზე დაბლა. ზამთრის მოყინვით დაზიანებულ ღეროებს აქვს მშრალი, მოყავისფრო გული, დაუზიანებელი მაყვლის ხასხასა მწვანე ღეროსგან განსხვავებით. ზოგჯერ შედარებით დაბალმა ყინვამაც (-10 º დან -20 º C მდე) შეიძლება გამოიწვიოს მაყვლის კენწერული კვირტის განადგურება. გაზაფხულზე ზრდის განახლებისას ზამთარში დაზიანებული ღერო უფრო მგრძნობიარე ხდება დაავადებებისადმი. გაზაფხულზე, ტემპერატურის მატებასთან ერთად, როდესაც იზრდება ფოთლების მოთხოვნილება წყალზე, ზამთარში, დაზიანებული ქსოვილების ზემოთ, ღეროების უბნები ჭკნება და საბოლოოდ ხმება. ეს, ძირითადად, ხდება მაყვლის ყვავილობის და ნაყოფის ჩამოყალიბების დროს. -27ºC ტემპერატურა, ჩვეულებრივ, ითვლება კრიტიკულ წერტილად, რომელიც დამღუპველია მაყვლის ყველა ტოტისთვის. თუმცა, ქსოვილების განადგურება ხდება შედარებით მაღალ ტემპერატურაზეც იმ შემთხვევაში, თუ ღერო სათანადოდ არ გაძლიერდა და ყინვები სწრაფად დადგა.

ჯიშის შერჩევა

ღეროს ზრდის მახასიათებლების მიხედვით განასხვავებენ მაყვლის სამ ფორმას. ეს ფორმებია: სწორმდგომი, ნახევრად გამართულღეროიანი და ხვიარა (სურათი 2). სწორმდგომ მაყვალს სწორი და მყარი ღერო წარმოექმნება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ტიპის მაყვალს არ სჭირდება საყრდენი სისტემა ვერტიკალური ზრდის შესანარჩუნებლად, მისი წარმოებისას, როგორც წესი, მას შპალერებიანი საყრდენებით ამაგრებენ. მაყვალს ბევრი კვირტი აქვს ფესვებზე და ადვილად ივითარებს პირველი წლის ყლორტებს ფესვებიდან, ასევე, ვარჯზე არსებული კვირტებიდან. ნახევრად სწორმდგომი მაყვალი ივითარებს სწორ ღეროებს, რომლებიც თითქოს ამართულია, მაგრამ იმავდროულად ჰორიზონტალური მდგომარეობისკენ იხრება. ღეროებისთვის აუცილებელია საყრდენი შპალერის მოწყობა. ხვიარა მაყვალი ივითარებს ტოტებს, რომლებიც ჰორიზონტალურად

იზრდება და მათთვისაც, ასევე, საჭიროა საყრდენი შპალერი. ნახევრად სწორმდგომ და მცოცავი ტიპის მაყვალს აქვს ფესვზე წამოზრდილი კვირტები და, როგორც წესი, წარმოქმნიან „პირველი წლის ყლორტებს“ ვარჯის კვირტებიდან. ზოგადად მცოცავი მაყვალი ნაკლებად ყინვაგამძლეა და არ არის ადაპტირებული საქართველოს შედარებით დაბალტემპერატურიანი რეგიონებისთვის.



სურათი 2. სამი ტიპის მაყვალი ღეროების ვეგეტაციური ზრდის მახასიათებლებიდან გამომდინარე.

მსხმოიარობის მახასიათებლების საფუძველზე განასხვავებენ ორი ტიპის მაყვალს: მეორე წლის ტოტებზე მსხმოიარე (floricane) და პირველი წლის ტოტებზე მსხმოიარე (Primocane). მეორე წლის ტოტებზე მსხმოიარე ტიპის მაყვლის ტოტები იზრდება პირველი წლის განმავლობაში, გვიან შემოდგომაზე ფოთლები სცვივა და ზამთარში გადადის მოსვენების მდგომარეობაში. ახალი ვეგატატიური ზრდა ეწყება მეორე წლის გაზაფხულზე, ყვავილობს მაისსა და ივნისის დასაწყისში, მოსავლის აღება კი, რომელიც განსხვავებულია ჯიშების მიხედვით, ხორციელდება ივლისის შუა რიცხვებიდან სექტემბრის შუა რიცხვების ჩათვლით. ამ ტიპის მაყვალი მოსავალს არ იძლევა დარგვის პირველ წელს. მოსავლიანობის პერიოდი, დაახლოებით, 4 კვირაა.

პირველი წლის ტოტებზე მსხმოიარე Primocane ტიპის მაყვალი ნაყოფს ისხამს მიმდინარე წლის ტოტების ზედა ნაწილში აგვისტოდან ოქტომბრის ჩათვლით რამდენიმე თვის განმავლობაში. მათ, ასევე, შეუძლიათ ნაყოფის მოცემა მეორე წლის ყლორტების ქვედა ნაწილში ივნისსა და ივლისში ოთხ-კვირიანი მოსავლის სეზონის განმავლობაში, იმ შემთხვევაში, თუ არ გაისხლა და გადაურჩა ზამთარში მოყინვას. უმეტეს შემთხვევაში, მიზანშეწონილია Primocane ტიპის მაყვლის ძირში გასხვლა გვიან ზამთარში, მოსვენების პერიოდში. ამ შემთხვევაში ხილის მოსავლიანობა კონცენტრირებულია გვიან ზაფხულსა და ადრე შემოდგომაზე. პირველი წლის ტოტებზე მსხმოიარე Primocane ტიპის მაყვალი ცოტა ხნის წინ გამოიყვანეს და მთელ მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ჯიშია ხელმისაწვდომი (სურათი 3). Prime-Ark 45 და Reuben ორი ახალგამოყვანილი Primocane ტიპის ჯიშებია, რომლებიც პერსპექტიული იქნება საქართველოს აგროკლიმატისთვის.

საქართველოში შეიძლება, გაშენდეს მსოფლიოს იმ ადგილებში კომერციულად წარმოებული მაყვლის ჯიშები, სადაც საქართველოს მსგავსი აგრო-კლიმატური პირობებია. საჭიროა ეს ჯიშები გამოიცადოს რამდენიმე რეგიონში, კერძოდ, სამეგრელოსა და შიდა ქართლში უფრო ფართოდ და კომერციული დანიშნულებით გაშენებამდე. საქართველოში წარმოებისთვის რეკომენდებულია სწორმდგომი floricane ტიპის ჯიშები: Quachita, navaho, Apache და Natchez.

სურათი 3. პირველი წლის ნაყოფი ღეროს ზედა ნაწილში Primocane ტიპის მაყვალზე.

ნახევრად სწორმდგომი floricane ტიპის რეკომენდებული ჯიშებია: Black Satin, Chester, Hull, Thornfree, Triple Crown და Loch Ness. Primocane ტიპის რეკომენდებული ჯიშებია: Prime-Ark 45 და Reuben.

Ouachita არის ძალიან მაღალმოსავლიანი, საშუალო პერიოდის სიმწიფის მსხმოიარე, უეკლო ჯიში, რომელსაც აქვს ძლიერი ზრდა, კომპაქტური ყლორტები დიდი, მიმზიდველი კენკრით. Navaho საშუალო საადრეო პერიოდის სიმწიფის უეკლო ჯიშია, რომელიც იძლევა მსხვილ, მკვრივ კენკრას შე-

სანიშნავი არომატით. Apache საშუალო საადრეო პერიოდის სიმწიფის უეკლო ჯიშია, რომელიც იძლევა მაღალი ხარისხის, მსხვილ, ტკბილ კენკრას. Natchez -საადრეო პერიოდის სიმწიფის უეკლო ჯიშია, რომელიც, ასევე, იძლევა მსხვილ, ტკბილ კენკრას შესანიშნავი გემოთი. ის გამძლეა დაავადებებისადმი და ახასიათებს სტაბილურად მაღალხარისხოვანი ხილი. Black Satin არის საშუალო საადრეო პერიოდის სიმწიფის მაღალმოსავლიანი ჯიში, რომელიც იძლევა მსხვილ, მკვრივ და ტკბილ ხილს. Chester არის მაღალმოსავლიანი, საგვიანო პერიოდის სიმწიფის ჯიში, რომელიც მდგრადია ყინვისადმი. მისი ნაყოფი უფრო მკვრივია სხვა ჯიშებთან შედარებით და ტრანსპორტირებას კარგად იტანს. არომატი მისაღებია, მაგრამ Hull ან Black Satin-თან შედარებით ნაკლებად ტკბილია. Hull არის ძლიერი და უეკლო ჯიში, რომელიც იძლევა მსხვილ, მკვრივ, ძალიან არომატულ, ტკბილ ნაყოფს.

Thornfree-ს აქვს საშუალო მსხვილი პრიალა შავი კენკრა გამოკვეთილი არომატით. ღეროები ძლიერი და ნახევრად სწორმდგომია. მისი მოსავლის აღება იწყება ივლისის ბოლოს და გრძელდება აგვისტოს დასაწყისამდე. Triple Crown ფართოდ ადაპტირებული უეკლო, მაღალმოსავლიანი ჯიშია კარგი არომატით. Loch Ness ასევე ძალიან პროდუქტიული უეკლო ჯიშია შესანიშნავი გემოთი. ის საადრეო ჯიშია სწორმდგომი ღეროებით და დაავადებებისადმი შედარებით გამძლეა. მას აქვს ხანგრძლივი მოსავლის კრეფის პერიოდი. იძლევა პრიალა, მიმზიდველ, არომატულ და ტკბილ კენკრას. Prime-Ark 45 და Reuben - ორი წამყვანი ჯიშია, მათ მსგავსი მახასიათებლები აქვს, იძლევა მაღალი ხარისხის ნაყოფს და აქვს ხანგრძლივი მოსავლიანობის პერიოდი.

ნაკვეთის მომზადება

მაყვლის პლანტაციის გასაშენებლად ნაკვეთი, საუკეთესო შემთხვევაში, უნდა შეირჩეს მცენარეების დარგვამდე ერთი წლით ადრე. ნაკვეთის მოსამზადებლად და ნიადაგის დასამუშავებლად საჭიროა სათანადო დრო. მიწის მომზადების სამუშაოები შეიძლება მოიცავდეს ნიადაგის დრენაჟის გაუმჯობესებას, pH-ის შეცვლას, ნიადაგში საკვები ნივთიერებების და ორგანული სასუქის შეტანას და მრავალწლიან სარეველებთან ბრძოლას. ნიადაგით გავრცელებული მწერების პოპულაციის, მაგალითად, როგორიცაა მავთულა ჭიები, შემცირების მიზნით, მაყვლის დარგვამდე უნდა დაირგას ტექნიკური კულტურები ან დაითესოს მარცვლეული. ეს, განსაკუთრებით, რეკომენდებულია იმ შემთხვევაში, თუ ნაკვეთზე მანამდე მოჰყავდათ კორდი ან შინაური ცხოველებისთვის საკვებად განკუთვნილი პარკოსანი მცენარეები.

მაყვლის დარგვამდე ნაკვეთი უნდა გაიწმინდოს წინა კულტურის დარჩენილი ნებისმიერი ნარჩენებისგან. ნიადაგი უნდა მოიხნას ან დამუშავდეს შემოდგომაზე, მომავალ გაზაფხულზე მაყვლის დასარგავად.

ორგანული ნივთიერებები

ნიადაგის ორგანული ნივთიერებები ძალიან საჭიროა მაყვლის კარგი განვითარებისათვის. ისინი აუმჯობესებენ ნიადაგის სტრუქტურას და მინერალური ნივთიერებები გადაჰყავთ გამოტუტვისგან დაცულ შესათვისებელ ფორმაში. ორგანული ნივთიერებები, ასევე, აუმჯობესებენ ნიადაგის წყალტევადობას. მნიშვნელოვანია სათანადო ყურადღების მიქცევა ნიადაგში ორგანული ნივთიერებების მაღალი დონის შენარჩუნებაზე. ორგანული სასუქი შეიძლება იყოს ცხოველის ნაკელთან შერეული თივა, მწვანე მცენარეულობა (სუდანურა, ჭვავი, საშემოდგომო ხორბალი) ან კომპოსტი (სურათი 4). მთელ ნაკვეთზე ჰექტარზე, დაახლოებით, 30-დან 50 ტონა ორგანული სასუქი უნდა დაემატოს და გაიშალოს.

ორგანული სასუქის ნიადაგის მიკროორგანიზმებისგან დასაშლელად საჭირო იქნება აზოტის დამატება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩახნულია სიდერატი პარკოსანი მცენარეები. დაახლოებით, 6 კგ აზოტის აქტიური ნივთიერება (N) უნდა იყოს შეტანილი ყოველ ტონა ცხოველის ნაკელში შერეულ თივაზე და 12 კგ N უნდა დაემატოს არაპარკოსანი მცენარეების ორგანულ სასუქს ან მწვანე ნაკელს, რაც ხელს უწყობს მის დაშლას. ერთ ჰექტარ ფართობზე 5-10 ტონა ქათმის ნაკელი შემოდგომაზე უნდა შეერიოს. იდეალურ შემთხვევაში ორგანული სასუქი ნიადაგში უნდა ჩაიხნას დარგვამდე 10-15 სანტიმეტრის სიღრმეზე.

სურათი 4. მაყვლის დარგვამდე ნიადაგს უნდა დაემატოს დიდი რაოდენობით ორგანული სასუქი.

მაყვლის გასაშენებელი ნაკვეთი უნდა მოიხნას, დაიფარცხოს, საფუძვლიანად დამუშავდეს ან როტაციული კულტივატორით დამუშავდეს სულ მცირე 30 სანტიმეტრის სიღრმეზე. იმ შემთხვევაში, თუ ქვენიადაგი, გარკვეულწილად, შეუღწევადია, ქვენიადაგის სიღრმისეული გაფხვიერება მოხვნამდე გაზრდის მის შეღწევადობას. ქვენიადაგის დამუშავება ხდება იარაღის (ჩიზელი, რიპერი) გამოყენებით, რითაც მუშავდება მიწა და ნიადაგში იქმნება 75-100 სმ სიღრმის ვიწრო არხი (სურათი 5). ჩიზელი, რიპერი შლის ნიადაგის ქვედა ნაწილში განლაგებულ გამკვრივებულ შრეს. ქვენიადაგის დამუშავება ნაკვეთზე ორჯერ უნდა ჩატარდეს 90 გრადუსიანი კუთხით. ქვენიადაგის დამუშავებისას ნიადაგი არ უნდა იყოს სველი, რათა ქვენიადაგის დამუშავების დადებითი შედეგები არ გაანეიტრალოს კომპაქტირებით გამოწვეულმა ზიანმა.

სურათი 5. სასოფლო-სამეურნეო იარაღი ეფექტურად შლის ნიადაგის გაუმტარ ფენას.

ნიადაგის ანალიზი

ნიადაგის აღება ანალიზისთვის ხდება მაყვლის გასაშენებლად განსაზღვრული ნაკვეთის სხვადასხვა ადგილიდან დარგვამდე 1 წლის განმავლობაში (სურათი 6). ნიადაგთან დაკავშირებული პრობლემების გამოსწორება ყოველთვის უფრო იოლია დარგვამდე, ვიდრე ბაღის გაშენების შემდეგ. რეკომენდებულია ნიადაგის სულ მცირე 5 ნიმუშის აღება 1 ჰექტარი ფართობიდან.

სურათი 6. ნიადაგის ნიმუშის ასაღებად გამოყენებული ინსტრუმენტი.

ანალიზისას უნდა შემოწმდეს ნიადაგის არის რეაქცია PH-ი, ორგანული ნივთიერებების შემცველობა, მარილიანობა, მაკრო და მიკროელემენტების შემცველობა და ნემატოდების პოპულაციების არსებობა. ნიადაგის ანალიზი, როგორც წესი, ტარდება სპეციალიზებულ ლაბორატორიებსა ან ინსტიტუტებში. შესაძლებელია, ასევე, ნიადაგის pH-ის, მარილის შემცველობის და გარკვეული მინერალური ელემენტების საზომი მარტივი აპარატურის შეძენა.

ნიადაგის არის რეაქცია Ph-ზე

ნიადაგის PH-ს ძალიან დიდი გავლენა აქვს მაყვლისთვის საკვები ნივთიერებების ხელმისაწვდომობასა და მცენარის ზრდის სიძლიერეზე. მაყვლისთვის ოპტიმალური Ph-ის დონე 6.5 ± 0.5-ია, მთელ ფესვთა ზონაში. მნიშვნელოვანი გადახრა ნიადაგის PH-ის ამ ზღვრებიდან უარყოფითად

აისახება მცენარეთა განვითარების დონეზე. ნიადაგის ოპტიმალური PH შექმნის ისეთ გარემოს, სადაც მაყვლის ფესვები შეძლებენ არსებული მინერალური ნივთიერებების საკმარისად შეთვისებას.

მაყვლის დასარგავად განკუთვნილი ნაკვეთის ნიადაგის PH დონე მაყვლის დარგვამდე უნდა შემოწმდეს რამდენიმე ადგილიდან აღებული ნიმუშების ანალიზით. აღებული უნდა იქნას ზედა შრის (ზედა 15 სმ) და ქვენიადაგის (30-60 სმ სიღრმეზე) ნიმუშები. თუ რომელიმე შრის PH 6.0-ზე ნაკლები ან 7.0-ზე მაღალია, საჭირო იქნება კირის ან გოგირდის დამატება, რათა შეიცვალოს pH ნიადაგის ტესტის შედეგებიდან გამომდინარე. ნიადაგის pH-ის კორექტირება საკვები ნივთიერებების მართვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდია მაყვლის მოსავლიანობის გასაუმჯობესებლად. ნიადაგის PH-ის კორექტირება უნდა შესრულდეს მაყვლის დარგვამდე. მაყვლის დარგვის შემდეგ ძალიან რთულია ნიადაგის PH-ის შეცვლა.

ნიადაგის PH-ის მაჩვენებლის გაზომვა იოლად შეიძლება პორტატული PH -ის საზომი ხელსაწყოთი, რომელიც აღჭურვილია სპეციალური ელექტროდით წყალბადის იონების კონცენტრაციის გასაზომად. ნაკლებად ზუსტ შედეგებს მივიღებთ ფერებიანი ინდიკატორების და ლაკმუსის ქაღალდის გამოყენებისას, თუმცა ნიადაგის PH-ის დასადგენად შესაძლებელია ამ მეთოდების გამოყენებაც.

ნიადაგის PH-ის დასადგენად ტარდება შემდეგი პროცედურა: 1 წილი ნიადაგი ერევა 1 წილ გამოხდილ/დეიონიზებულ წყალს, რომელსაც აქვს PH-ის ნეიტრალური დონე - 7. ნიადაგის და წყლის ნარევი უნდა შეინჯღრეს, დაახლოებით, 1 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი დადგეს დასალექად PH ელექტროდის ნარევში მოთავსებამდე არანაკლებ 30 წუთის განმავლობაში (სურათი 7). საზომ ინსტრუმენტზე დაიწერება ნიადაგის PH-ის მაჩვენებელი.

ნიადაგის pH-ის შეცვლა

ნიადაგის pH-ის მაჩვენებელი შეიძლება გაიზარდოს კირის დამატებით ან შემცირდეს გოგირდის დამატებით. ეს დანამატები ნიადაგს ერევა დარგვამდე სულ მცირე რამდენიმე თვით ადრე. ნიადაგის pH-ის შესაცვლელად კირის ან გოგირდის საჭირო რაოდენობა განისაზღვრება იმით, თუ რა სახის არის (შემადგენელი ნაწილების ზომები და პროპორცია) დასამატებელი ნივთიერებები და როგორია მოცემული ნიადაგის ბუფერობა. წვრილი მარცვლების დიდი რაოდენობა (60-100) მიანიშნებს წვრილად დაფქულ კირსა ან გოგირდზე, რომელიც უფრო სწრაფად შევა რეაქციაში ნიადაგის pH-ის შესაცვლელად.

სურათი 7. ნიადაგის pH-ის საზომი პორტატული აპარატი.

ნიადაგის ბუფერულობა დამოკიდებულია კათიონების გაცვლით უნარიანობასა (CEC) და ნიადაგში არსებული ორგანული ნივთიერებების შემცველობაზე. მაღალი CEC-ის ან/და ორგანული ნივთიერებების მაღალი შემცველობის ნიადაგის ბუფერულობა უფრო მაღალია; ასეთ ნიადაგებზე საჭიროა უფრო დიდი რაოდენობით კირის ან გოგირდის დამატება pH-ის იმავე დონით ცვლილებისთვის.

ტუტე ნიადაგში (pH>7) წვრილმარცვლოვანი გოგირდი უნდა შეერიოს ნიადაგის ზედა 20 სმ ფენაში დარგვამდე სულ მცირე რამდენიმე თვით ადრე, pH-ის მაჩვენებლის ოპტიმალურ ზღვრამდე შესამცირებლად. ნიადაგის მოდიფიცირება დარგვამდე ბევრად უფრო იოლია, ვიდრე დარგვის შემდეგ. ნიადაგის ზედაპირზე მარცვლოვანი გოგირდის დამატებით შემცირდება მხოლოდ ზედა რამდენიმე სმ-ის pH-ის დონე. თუმცა, დროთა განმავლობაში, pH-ის დონე თანდათანობით შემცირდება ნიადაგის ღრმა ფენებშიც.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია სხვადასხვა სტრუქტურის ნიადაგში pH-ის 6.5-მდე შესამცირებლად საჭირო წვრილმარცვლოვანი გოგირდის რაოდენობა.

გოგირდი (ტონა/ჰექტარზე)		
ნიადაგის არის რეაქცია	pH 8.5 - 6.5	pH 7.5 - 6.5
ქვიშა	2.9	2.2
ქვიშნარი	2.3	1.8
თიხნარი	2.0	1.4
ლამიანი თიხნარი	1.6	1.1
მძიმე თიხნარი	1.2	0.7

მჟავე ნიადაგში, რომლის pH 6.0-ზე ნაკლებია, აუცილებელი იქნება ნიადაგის pH-ის 6.5 ± 0.5-მდე გაზრდა ფესვთა ზონაში მაყვლის ოპტიმალური ზრდის მისაღებად. ეს სრულდება წვრილად დაფქვილი კირის (CaCO3), დოლომიტის კირქვის [CaMg (CO3) 2] ან ჰიდრატირებული კირის (CaOH2) შერევით დარგვამდე, სულ მცირე, რამდენიმე თვით ადრე, რათა ნიადაგს მიეცეს pH-ის შეცვლის დრო. დასამატებელი კირქვის რაოდენობა დამოკიდებულია ნიადაგის pH-ზე, CEC-ზე და ორგანული ნივთიერებების პროცენტულ შემცველობაზე. დაბალი CEC-ს მქონე ნიადაგის pH უფრო სწრაფად გაიზრდება მაღალი CEC-ის მქონე ნიადაგთან შედარებით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია წვრილმარცვლოვანი კირქვის საჭირო რაოდენობა pH-ის მაჩვენებლის 6.5-მდე გასაზრდელად სხვადასხვა ტექსტურის ნიადაგში:

კირი (ტონა/ჰექტარზე)		
	pH 4.5 - 6.5	pH 5.5 - 6.5
ქვიშა	2.8	1.5
ქვიშნარი	5.3	3.3
თიხნარი	7.5	4.3
ლამიანი თიხნარი	8.7	5.0
მძიმე თიხნარი	10.5	5.7

კირი საფუძვლიანად უნდა შეერიოს როტაციული კულტივატორით, უკეთესია, მინიმუმ 30 სმ სიღრმეზე. მაყვლის საუკეთესო განვითარებისთვის კირი უნდა შეერიოს მთელ ნაკვეთს (სურათი 8).

სურათი 8. კირის ნიადაგში შეტანა მაყვლის დარგვამდე.

დამლაშებული ნიადაგი

მაყვალი ძალიან მგრძნობიარეა ნიადაგში მარილის შემცველობაზე და არ უნდა დაირგას ნიადაგში, სადაც მარილის შემცველობა 1.5 დს/მ-ზე მაღალია. მარილის მაღალი კონცენტრაცია ფესვთა ზონაში ხელს უშლის მცენარეს ნიადაგიდან წყლის და საკვები ნივთიერებების შეწოვაში. ნიადაგში ხსნადი მარილების მაღალი კონცენტრაცია ხელს შეუშლის ახალი ფესვების განვითარებას და აფერხებს ღეროების ზრდას. მცენარეების სიძლიერის შესუსტება და მოსავლის შემცირება შეიძლება ფოთლების სიმპტომების გამოვლენამდე. მარილის მაღალი შემცველობის ნიადაგში მაყვალს ექნება ფოთლის კიდეების ქლოროზი/ნეკროზი და შეფერხებული ზრდა (სურათი 9). დაზიანება უფრო თვალსაჩინოა შედარებით ხნიერ ფოთლებზე.

მარილით მოწამვლა შეიძლება გამოიწვიოს სარწყავ წყალში ან ნიადაგში მარილის მაღალმა დონემ, ცუდმა დრენაჟმა, სასუქის, მათ შორის, ნაკელის გადაჭარბებული დოზით გამოყენებამ ან სველ ფოთლებზე სასუქის შეტანამ. მაყვალი, განსაკუთრებით, მგრძნობიარეა ქლორიდებისა და ნატრიუმის მარილებისადმი; დაზიანება უფრო თავს იჩენს ცხელი თვეების განმავლობაში. მარილიან ნიადაგში გაზრდილი მცენარეების სიმპტომები წყლის ნაკლებობით გამოწვეული სიმპტომების ანალოგიურია.

სურათი 9. ფოთლის კიდეების ნეკროზი მარილით მოწამვლის ტიპური სიმპტომია.

მნიშვნელოვანია დარგვამდე საკმაო დროით ადრე წყლის და ნიადაგის ტესტირება, სათანადო ირიგაციის და განოყიერების პროცედურების დაცვა ნიადაგში მარილიანობის გაზრდის პრევენციისთვის. მარილით გამოწვეული დაზიანების დიაგნოსტირებისთვის სასურველია ფოთლის ანალიზის ჩატარება, რის შედეგადაც შეიძლება გამოვლინდეს მავნე ნატრიუმის ან ქლორიდის დაგროვება ფოთლის დაავადების სიმპტომების გამოაშკარავებამდე. მაყვლის ფოთლები დამწვარი კიდეებით ან წვერით, როგორც წესი, ქლორიდით ან ნატრიუმის მარილებით მოწამვლის მანიშნებელია. იმ შემთხვევაში, თუ დაზიანებული ფოთლები შეიცავენ 0.2%-ზე მეტ ნატრიუმს ან 0.5%-ზე მეტ ქლორიდს, ფოთლის დაზიანება, ძირითადად, შეიძლება განპირობებულ იყოს ნატრიუმით ან ქლორიდით მოწამვლით.

ხსნადი მარილის კონცენტრაცია მაყვლის ფესვთა ზონაში არსებული სასუქის და სხვა იონების საერთო რაოდენობის მაჩვენებელია. მარილები წარმოდგენილია როგორც დადებითად, ისე უარყოფითად დამუხტული მინერალური იონებით. ეს დამუხტული ნაწილაკები ზრდიან წყლის ელექტროგამტარობის უნარს, ამიტომ მათი კონცენტრაცია შეიძლება შეფასდეს ელექტროგამტარობის (EC) გაზომვით. ხსნადი მარილები იზომება ელექტროგამტარობის საზომის გამოყენებით და გამოიხატება მილიმჰოებით თითო სანტიმეტრზე (მოძველებული) (mmhos/cm) ან დეცი-სიმენსით თითო მეტრზე (dS/m), რომლებიც რიცხობრივად ექვივალენტურია. მაყვლის მოსავალი მცირდება, როდესაც ნიადაგის ფესვთა ზონაში ელგამტარობა 1.5 dS/m-ზე მაღალია. ნიადაგის მარილიანობის 1.95 dS/m შემთხვევაში, მოსავალი მცირდება, დაახლოებით, 10%-ით, 25%-ით - 2.65 dS/m-ის შემთხვევაში, ხოლო 50%-ით, როდესაც გამტარიანობა 3.80 dS/m-ია. როდესაც ნიადაგის ტესტები მიუთითებს, რომ EC აღემატება 1.5 dS/m-ს, რეკომენდებულია ნიადაგის აღდგენის ღონისძიებების ჩატარება.

წყლის გასაზომად და ნიადაგში მარილების კონცენტრაციის გასაზომად არსებობს სხვადასხვა პორტატული და სტაციონარული ელექტროგამტარობის საზომი ხელსაწყოები (დიაგრამა 10). საზომები რეგულარულად უნდა დაკალიბრდეს ცნობილი ელექტროგამტარობის მქონე ხსნარების გამოყენებით. სარწყავი წყლის მარილიანობა შეიძლება განისაზღვროს უშუალოდ განუზავებელი ნიმუშის გამოყენებით. ტესტირების პროცედურა მარტივია. ამისათვის სუფთა კონტეინერში უნდა შეგროვდეს წყლის ნიმუში. ელექტროგამტარობის ზოგიერთ საზომს აქვს ნაწილი, რომელიც თავსდება წყალში. სხვებს კი აქვთ თავსახური, რომელშიც წყალი უნდა ჩაისხას. ელექტროგამტარობის საზომების უმეტესობას არ სჭირდება დიდი დაკალიბრება, მაგრამ აუცილებელია მათი სუფთად შენახვა. საზომი ირთვება, ზონდი მთლიანად ეშვება ნიმუშში და ეკრანზე იწერება ელექტროგამტარობის მაჩვენებელი.

ნიადაგების მარილიანობის განსაზღვრა შეიძლება გაჯერებული ნიადაგის ხსნარის გამტარობის გაზომვით. ნიადაგი უნდა შეერიოს გამოხდილ წყალში 1:5 თანაფარდობით, კარგად შეინჯღრეს, დაიდგას 30-60 წუთის განმავლობაში და აღირიცხოს ელექტროგამტარობის მაჩვენებელი. ჩვენების სიზუსტე შეიძლება გაუმჯობესდეს გაფილტვრის საშუალებით ნაწილაკების მოცილებით, თუმცა ეს არ არის აუცილებელი. თანამიმდევრულობისთვის, ნიადაგი ჰაერზე უნდა გაშრეს.

სურათი 10. პორტატული, ბატარეაზე მომუშავე ელექტროგამტარობის საზომები.

როგორც წესი, საკმარისია 50-100 მლ ნიადაგი. ელექტროგამტარობის გაზომვა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ სუფთა წყალი არ ატარებს ელექტრობას, იონების შემცველი (ელექტრონულად დამუხტული ნაწილაკები) კი გაატარებენ ელექტრობის მზარდ მოცულობას იონების კონცენტრაციის ზრდასთან ერთად. რაც უფრო მეტი იონია ხსნარში, მით უფრო მეტ ელექტროენერგიას ატარებს და მით უფრო მაღალი იქნება ელექტროგამტარობის მაჩვენებელი.

მინერალური ელემენტების შემცველობა

დარგვამდე საკვები ნივთიერებების შემცველობის გასაგებად უნდა ჩატარდეს ნიადაგის მაკრო და მიკრო ელემენტების ანალიზი. ნიადაგის ტესტის პასუხისა და მაყვლის ფოთლის ანალიზის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს ნიადაგის განოყიერების სისტემა. ქსოვილში მინერალური ნივთიერებების ოპტიმალური კონცენტრაციები მოყვანილია ამ სახელმძღვანელოს სექციაში – „განოყიერება“.

ნემატოდები

ნემატოდებზე ანალიზი უნდა იყოს, ასევე, ნიადაგის ანალიზის ერთ-ერთი კომპონენტი. ნემატოდები – ესაა მიკროსკოპული ზომის მრგვალი მწერები, რომლებიც ნიადაგში ბინადრობენ. არსებობს სხვადასხვა სახის ნემატოდი; ზოგიერთი მათგანი მაყვლისთვის საზიანოა. მცენარეების დაზიანებას იწვევს ნემატოდებით ფესვების დაზიანება. დაავადებულ მცენარეებს აღენიშნებათ სუსტი ზრდა და ზრდის შეფერხება. ნემატოდებს, ასევე, შეუძლიათ დაავადებების გადატანა. ნემატოდები ვრცელდება ნიადაგის კაპილარების გავლით, მაგრამ წელიწადში დამოუკიდებლად მხოლოდ რამდენიმე სანტიმეტრით შეუძლიათ გადაადგილება. თუმცა ნიადაგის მოხვნისას ნემატოდები შეიძლება უფრო დიდ მანძილზე გავრცელდეს. ნემატოდის ზოგიერთი სახეობა იწვევს მაყვლის მცენარის დასუსტებას. ყველაზე მნიშვნელოვანია გალებიანი ნემატოდა (Xiphenema species). პლანტაციის გაშენება არ არის რეკომენდებული ისეთ ნიადაგში, სადაც მაღალია გალებიანი ნემატოდის პოპულაციები.

რიგების/ შემაღლებული ბაზო-კვლების „ბედების” ფორმირება

ნაკვეთის მომზადების და ნიადაგში საჭირო დანამატების შეტანის შემდეგ ეწყობა გასაშენებელი რიგები ან კვლები. მაყვალი შეიძლება დაირგას სწორ ზედაპირზე, კარგი დრენაჟის პირობებში. არასასურველი დრენაჟისას მაყვალი უნდა დაირგას შემაღლებულ კვლებზე, რომლებიც ეწყობა, დაახლოებით, 25 სმ-ის სიმაღლის და მინიმუმ 75 სმ სიგანის მქონე (სურათი 11) ზოლებად. კვლების ცენტრებს შორის მანძილი, სულ მცირე, 3.0 მეტრს უნდა შეადგენდეს. ამის შედეგად საკმარისი ფართობი დარჩება რიგთაშორისების დასამუშავებლად და აგროტექნიკური ღონისძიებების ჩასატარებლად (განოყიერება, შესხურება, მოსავლის აღება). მანძილი რიგებს შორის, ასევე, დამოკიდებულია ნარგავის მოსავლელი ტექნიკის გაბარიტებზე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლებელი იყოს მცირე ზომის კულტივატორის გამოყენება. დაქანებულ ფართობზე ნარგავები კონტურულად უნდა დაიგეგმოს და რიგები განლაგდეს ფერდობის პერპენდიკულარულად, ნიადაგის ეროზიის შესამცირებლად.

მაყვლის ნაკვეთის გაშენება

მაყვლის ნაკვეთის გასაშენებლად რამდენიმე მეთოდი არსებობს. სარგავ მასალად შეიძლება ნერგის სახით სტანდარტული ნერგის, ფესვების, ინვიტრო კ ნერგების ან მწვანე ნერგის გამოყენება. ნერგი ყოველთვის უნდა იყოს სერტიფიცირებული, უვირუსო და მიღებული უნდა იყოს მხოლოდ სანდო სანერგეებიდან (სურათი 12).

სურათი 11 არასასურველი დრენაჟის პირობებში მაყვლის დარგვამდე უნდა მოეწყოს შემაღლებული კვლები.

სურათი 12. მაყვლის ჯანსაღი ნერგი ამოღებამდე რამდენიმე თვით ადრე.

მაყვლის სარგავი მასალის ფესვთა სისტემას დარგვამდე ტენიანი მდგომარეობა უნდა შეუნარჩუნდეს. ნერგის დეჰიდრატაცია მნიშვნელოვნად შეამცირებს მის სიცოცხლისუნარიანობას. ფესვთა სისტემის გაუწყლოების პრევენცია შესაძლებელია ნერგის მთლიანად ან ზოგჯერ დარგვამდე ფესვების დროდადრო დასველებით და, ასევე, ღეროს მზის პირდაპირი შუქისგან დაცვით. მაყვლის დასარგავი მასალა დარგვამდე უნდა ჩაეშვას mefenoxam-ში (Ridomil Gold) ან fosetyl-Al (Aliette) ფუნგიციდურ ხსნარში, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ფოტოფტორის – ფესვის სიდამპლის განვითარება.

სტანდარტული ნერგი მოსვენებულ მდგომარეობაში

ასეთი ტიპის ნერგი ყველაზე ფართოდ გამოიყენება. ეს არის მოსვენებულ მდგომარეობაში მყოფი 1 წლის მცენარე, რომელსაც კარგად განვითარებული, სულ მცირე 25 სმ სიგრძის ფესვთა სისტემა აქვს (სურათი 13).

სურათი 13. სტანდარტული ნერგის ძლიერი ფესვთა სისტემები.

დარგვისას ნერგის ფესვთა სისტემა ნიადაგში უნდა გაიშალოს. ფესვები უნდა ჩაიფლას 5-7 სმ-ის სიღრმეზე, ღერო უნდა ჩაირგას 2-3 სმ-ით უფრო ღრმად, ვიდრე სანერგეში. დარგვისას ფესვების გარშემო ნიადაგი კარგად უნდა დაიტკეპნოს, შემდეგ კი საფუძვლიანად უნდა მოირწყას ნიადაგი თითოეული ღეროს გარშემო. ღერო უნდა დამოკლდეს 10-15 სმ სიგრძემდე.

ნერგი უნდა დაირგას გაზაფხულის დასაწყისში რაც შეიძლება ადრე, როგორც კი შესაძლებელი იქნება ნიადაგის დამუშავება. საქართველოს შედარებით გრილი კლიმატის რეგიონებში ეს პერიოდია მარტის დასაწყისიდან აპრილის შუამდე, როდესაც ტემპერატურა საკმარისად მაღალია და არ დგას მკაცრი ყინვის საშიშროება. რაც უფრო დიდი ხნის განმავლობაში იზრდება მცენარე გაზაფხულზე, მით უკეთ განვითარდება ფესვთა სისტემა და უფრო სწრაფად შეივსება რიგი მცენარეებით.

ფესვის გამოყენება სანერგე მასალად

ფესვის ნაწილები, რომლებიც გამოიყენება სარგავ მასალად, წარმოადგენს ფესვთა სისტემის თხელ ნაწილებს, რომელთა სიგრძე 10-15 სმ-ია და პატარა ფესვთა სისტემა აქვს (სურათი 14). ყოველი ფესვის ნაწილი უნდა იწონიდეს, დაახლოებით, 60 გრ-ს და ჰქონდეს მრავალი კვირტი. ფესვის ნაწილები მნიშვნელოვნად იაფია, თუმცა მინიმუმ რამდენიმე თვით მეტი დროა საჭირო მის აღმოსაცენებლად, ვიდრე მოსვენებული შიშველფესვა ნერგის გასახარებლად. ფესვის ნაწილები უნდა დაირგას გაზაფხულის დასაწყისში. სათანადო დარგვის სიღრმე ძალიან მნიშვნელოვანია ფესვის ნაწილის გადარჩენისთვის. ფესვის ნაწილები უნდა დაირგას, დაახლოებით, 5 სმ-ის სიღრმეზე. ძალიან ღრმად ან ზედაპირთან ძალიან ახლოს დარგვისას ისინი დაიღუპებიან. ნიადაგით დაფარვამდე საჭიროა ფესვების გაშლა.

სურათი 14. ფესვის ნაწილების სანერგე მასალა.

ინვიტრო სარგავი მასალა

ზოგიერთი ჯიშის ნერგი შეიძლება სანერგეში წარმოებული იყოს ინვიტრო ტექნოლოგიის გამოყენებით. მათ, როგორც წესი, იყენებენ სადედეებად სანერგეებისთვის ვირუსისგან დაუსნებოვანებელი ნერგების საწარმოებლად. ინვიტრო ნერგები, როგორც წესი, უფრო ძვირია, ვიდრე დასარგავი მასალის სხვა ფორმები. ინვიტრო ნერგების მოსავლიანობა ნერგის სხვა ნაირსახეობების მაჩვენებლებისგან არ განსხვავდება.

მწვანე ნერგი

მაყვლის ნარგავების წარმოება შესაძლებელია, აგრეთვე, აქტიურად მზარდი „მწვანე“ გადასარგავი მასალის გამოყენებით, რომელიც მანამდე დარგული რიგებიდანაა ამოღებული. გადასარგავი მასალა უნდა იყოს, დაახლოებით, 15 სმ სიმაღლის და ჰქონდეს კარგად ჩამოყალიბებული ფესვთა სისტემა. ისინი შეიძლება ამოღებულ იქნას ნაკვეთიდან გვიან გაზაფხულზე ან ზაფხულის დასაწყისში და პირდაპირ ახალ ნაკვეთზე დაირგას. მწვანე ნერგები შეიძლება მოთავსდეს ნასვრეტებიან ცელოფნებში და ასეთი ფორმით შეინახოს გარკვეული დროით, გრუნტში დარგვამდე (სურათი 15).

მცენარეთა რიგების ან კვლების ნიადაგის ტენიანობა გადარგვისას უნდა იყოს ნიადაგის ტენტევადობის მსგავსი. უნდა აღმოიფხვრას საჰაერო ჯიბეები ფესვების გარშემო არსებულ ნიადაგში, ფესვის ნაწილის ან შიშველფესვა ნერგის ზემოთ მიყრილ მიწაზე დაწოლით. დასარგავი მასალის დარგვისთანავე საჭიროა მორწყვა, რათა შენარჩუნდეს ნიადაგის ტენიანობა, თუმცა დარგვის შემდეგ და ამოსვლამდე პერიოდში ჭარბი მორწყვა არ შეიძლება.

დარგვის სქემა

სურათი 15. გადარგვამდე ქოთნებში მოთავსებული მაყვლის აკლიმატიზაცია.

მაყვლის დარგვის სქემა და რიგებს შორის რეკომენდებული მანძილი განსხვავებულია ნერგის ტიპის, ფორმირების მეთოდების და ხელმისაწვდომი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაბარიტებიდან გამომდინარე. მაყვალის ნერგებს შორის მანძილი რიგებში 0.9-1.2 მეტრი უნდა იყოს. ახალ ღეროებს, რომლებიც ამოდის მთავარი ნარგავის ვარჯიდან ან ფესვთა სისტემიდან, ეძლევა ბუჩქების უწყვეტი რიგის ჩამოყალიბების შესაძლებლობა. ნახევრად ამართული მაყვლის ჯიშებს შორის დისტანცია რიგში 1.2-1.8 მეტრს უნდა უდრიდეს. მთავარი ნარგავის ვარჯიდან ამოსული ღეროები მოგვიანებით შეირჩევა ბუჩქების რიგის შესავსებად. ხვიარა მაყვლის ნარგავებს შორის საჭიროა 2.4 მეტრი დისტანციის შენარჩუნება რიგში, რათა მცენარეს ჰქონდეს სათანადო სივრცე. ამ სახეობისთვის დამახასიათებელი გაშლილი და ძალიან გრძელ ღეროებზე მოსხმული მაყვალი უნდა დაირგას 1.2 მეტრის დაშორებით მთავარი ნარგავებიდან. რიგის ცენტრებს შორის მანძილი უნდა იყოს სულ მცირე 3.0 მეტრი მაყვლის ყველა ტიპისთვის, თუმცა დიდ ნაკვეთებზე შეიძლება იყოს 3.6 მეტრამდე, დამუშავების და შესასხურებელი ტექნიკის გამოყენების ხელშესაწყობად (სურათი 16).

სურათი 16. ახალგაშენებული მაყვლის პლანტაცია, რიგებს შორის 3.0 მეტრიანი დაშორებით.

როდესაც მთავარი მცენარე აგრძელებს ზრდას პირველი წლის განმავლობაში, ყველაზე ძლიერი ღეროები, რომლებიც წარმოქმნილია ფესვთა სისტემიდან ან ვარჯიდან, უნდა შეირჩეს და დამუშავდეს მომდევნო წელს მსხმოიარობისთვის floricane ტიპის ჯიშებში (სურათი 17). რიგის სიგანე უნდა შენარჩუნდეს 75-100 სმ-ის ფარგლებში, ხოლო ვეგეტატიური ამონაყარი, რომელიც ვითარდება ბუჩქების რიგის სიგანის 100 სმ-ზე გარეთ, უნდა ამოიჭრას. ამას გარდა, უნდა მოსცილდეს დაზიანებული, დამჭკნარი ან აშკარად სუსტი ღეროები.

მცენარეთა სხვლა-ფორმირება

სწორმდგომი და ნახევრად სწორმდგომი მაყვლისთვის პირველ წელს ვარჯიდან გამოზრდილი 6-7 ყველაზე ძლიერი ღერო უნდა შეირჩეს და ფორმირდეს მარაოს ფორმის მსგავსად, რათა შეავსოს ბუჩქების რიგი. ვარჯიდან დამატებით გამოზრდილი ღეროები უნდა გაისხლას, რათა შენარჩუნდეს მცენარის ღეროს სათანადო სიმჭიდროვე და მოხდეს ჭარბი ზრდის თავიდან აცილება.

მთავარი მცენარის ვარჯიდან განვითარებული მრავალი ახალი ყლორტი იზრდება უფრო ჰორიზონტალური, ვიდრე ვერტიკალური მიმართულებით (სურათი 17). ზრდის ეს მოდელი კიდევ უფრო აშკარაა სწორმდგომი ტიპის ჯიშებში. ამდენად, ღეროების გასამყარებლად და ვერტიკალური ზრდის შესანარჩუნებლად საჭიროა საყრდენი სისტემა.

სურათი 17. ტიპური ჰორიზონტალური ორიენტაცია სწორმდგომი და ნახევრად სწორმდგომი მაყვლის ჯიშის ღეროების ზრდის პირველ წელს საყრდენი სისტემის გარეშე.

საყრდენი სისტემა

მაყვლის ყველა სახეობისთვის საჭიროა საყრდენი სისტემა. საყრდენი სისტემა გაზრდის მოვლის ოპერაციების ეფექტურობა-ეფექტიანობას, მათ შორის, ხელს შეუწყობს რიგების კულტივაციის, გასხვლის, მცენარეთა დაცვისა და მოსავლის აღების პროცესებს.

მაყვლის საყრდენის სისტემა შედარებით იოლი ასაგებია და სჭირდება მხოლოდ საყრდენი ბოძები და მავთული. ორმავთულიანი I სახის საყრდენი სისტემა გამოიყენება მაყვლის მისამაგრებლად. საყრდენი სისტემა უნდა მოეწყოს ნერგის დარგვისას ან დარგვიდან მოკლე ხანში. საყრდენი სისტემა, როგორც წესი, შედგება 2 მეტრი სიმაღლის ხის ან ლითონის საყრდენი ბოძებისგან, რომლებიც განთავსებულია ყოველ 4-5 მეტრში და ორიარუსიანი სქელი მოთუთიებული მავთულების (10 ან მეტი) ბოძისგან, რომელიც რიგის სიგრძეს გასდევს (სურათი 18). თითოეული ბოძი ჩასმულია ნიადაგში, დაახლოებით, 30 სმ სიღრმეზე, ხოლო მიწისზედა სიმაღლე მთლიანად, დაახლოებით, 1,7 მეტრია. ქვედა საყრდენი მავთულები უნდა მიემაგროს რიგის ბოძებს ნიადაგის დონიდან 75 სმ-ზე. ზედა საყრდენი მავთულები ნიდაგის დონიდან 135 სმ-ზე უნდა იყოს. თითოეული რიგის ბოლოს საჭიროა უფრო მძლავრი ბოძების ჩადგმა, რათა საყრდენი სისტემა დამატებითი სიმძლავრით იყოს უზრუნველყოფილი.

სურათი 18. საყრდენი სისტემა სწორმდგომი (მარცხნივ) და ნახევრად სწორმდგომი (მარჯვნივ) მაყვლისთვის.

I საყრდენ სისტემაში ნერგები ინდივიდუალურადაა მიბმული ორივე მავთულზე, მათ ზრდასთან ერთად. ზრდის პირველ წელს ფლორიკანის ტიპის მაყვლის მთავარი მცენარის ვარჯიდან უნდა შეირჩეს, დაახლოებით, 6-7 მთავარი ყლორტი ანუ ღერო, მეორე წელს მსხმოიარობისთვის მცენარის სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად. ეს 6-7 მთავარი ღერო უნდა მოეწყოს მარაოს ფორმით, რათა შეავსონ სივრცე მიმდებარე მცენარესთან და ჩამოყალიბდეს უწყვეტი რიგი. ყლორტების ზრდა-წაგრძელებასთან ერთად საჭიროა მათი მიბმა ქვედა და ზედა მავთულებზე, შესაბამისად (სურათი 19).

სურათი 19. უნდა შეირჩეს ვარჯიდან ყველაზე ძლიერი 6-7 ყლორტი და მიებას ქვედა და ზედა მავთულებზე საყრდენის უზრუნველსაყოფად.

ცალკეული ყლორტები უნდა გაისხლას ზედა ნაწილში, როდესაც მათი სიმაღლე მიაღწევს, დაახლოებით, 1.8 მეტრს. საჭიროა ბოლოების გასხვლა ყლორტის მერქნიან მონაკვეთამდე, წვეროდან, დაახლოებით, 10 სმ-ით დაბლა (სურათი 20). ყლორტების კენწეროების გასხვლა ხელს უწყობს მეორადი გვერდითა ყლორტის ფორმირებას, რომელიც მომდევნო ზაფხულში გამოისხამს ნაყოფს.

სურათი 20. გასხვლა ანუ წვეროდან, დაახლოებით, 10 სმ-ის მოწყვეტა, როდესაც ყლორტი აღწევს სასურველ სიმაღლეს - 1.8 მეტრს.

რიგის ვეგეტატიური ნაზარდის ზრდა უნდა შენარჩუნდეს 90-100 სმ სიგანის და, დაახლოებით, 2 მეტრის სიმაღლის ფარგლებში. რაც უფრო ფართო ან მაღალია ბუჩქების რიგი, მით უფრო რთული იქნება მათი გასხვლა და მოსავლის აღება. რიგის სიგანის 90-100 სმ-ის გარეთ ფესვებიდან ამოყრილი გვერდითი ყლორტები შეიძლება ნებისმიერ დროს მოსცილდეს.

სხვლა

მაყვალი მრავალწლიანი მცენარეა, მისი ფესვთა სისტემა მრავალი წლის განმავლობაში ცოცხლობს. თუმცა, მცენარეები მხოლოდ 2 წლის განმავლობაში ცოცხლობენ და საჭიროა მათი ყოველწლიურად შეცვლა ახალი ღეროებით, რომელიც ამოდის ვარჯიდან ან ფესვთა სისტემიდან მცენარის ნაყოფიერების შესანარჩუნებლად. მცენარის შიგნით ღეროების ოპტიმალური სიმჭიდროვის და ბუჩქების რიგის ოპტიმალურად შესანარჩუნებლად აუცილებელია ღეროების მუდმივად გასხვლა და შეთხელება. **ორწლიან ტოტებზე** მსხმოიარე მაყვალს ექნება ვარჯიდან ამოსული პირველი წლის ვეგეტატიური ღეროები და უკვე ჩამოყალიბებული მეორე წლის მსხმოიარე ღეროების კომბინაცია, ერთდროულად.

მოსავლის აღების შემდეგ მეორე წლის ღეროები კარგავს სიძლიერეს და იწყებს ბიოლოგიურად დაბერებას. ყველა 2 წლის ღერო, რომელზეც გამოსხმული იყო ნაყოფი, უნდა გაისხლას ვარჯამდე ან ნიადაგის დონეზე მოსავლის აღებიდან ცოტა ხანში. ეს ამცირებს ნაკვეთში დაავადების – ინოკულანტის მოცულობას, რომელიც, როგორც წესი, მაღალია მოძველებულ ტოტებში. ამას გარდა, გასხვლა აუმჯობესებს ჰაერის მოძრაობას და მზის შუქის შეღწევას მცენარის შიგნით და დარჩენილ პირველი წლის ღეროებს აძლევს უკეთ განვითარების საშუალებას. როდესაც გაისხვლება 2 წლის ღეროები, რომლებიდანაც მოსავალი უკვე აღებულია, ეს ხელს შეუწყობს მცენარის საბურველის გაშრობას და იმ დაავადებების შემცირებას, რომლებისთვისაც ხელსაყრელია ტენიანი პირობები. გამხმარ და გასხლულ ღეროებში დაავადების სპორები შეიძლება მაღალი რაოდენობით იყოს. გასხლული ღეროების ნაკვეთზე ან მასთან ახლოს დატოვების შემთხვევაში, დაავადება შეიძლება ისევ ნარგავებზე გავრცელდეს. გასხლული ღეროების მოცილება და დაწვა ამცირებს დაავადების განვითარების შესაძლებლობას.

ამას გარდა, საჭიროა ზამთარის ბოლოს მოსვენებული ორი წლის ტოტების გასხვლა. თებერვლის შუა პერიოდიდან ბოლომდე საჭიროა ვარჯიდან ან ფესვთა სისტემიდან ამოსული ჭარბი ამონაყრების შეთხელება, რათა შემცირდეს მცენარეთა შორის ან შიგნით კონკურენცია. სასურველია ამ პროცედურის გადადება თებერვლამდე, როდესაც შესაძლებელი იქნება ზამთრის დაზიანების განსაზღვრა. თითოეული მცენარე უნდა გაისხლას ისე, რომ დარჩეს 6-7 ძირითადი ყლორტი ანუ ღერო, დაახლოებით, 1,5 მეტრზე. გარდა ამისა, მეორადი გვერდითი ტოტები უნდა გაისხლას, დაახლოებით, 30 სმ-ზე. მეორადი გვერდითი ტოტები უნდა გაისხლას, ასევე, სავეგეტაციო პერიოდის განამვლობაში, 30 სმ-ზე. ზამთარში დაზიანებისას საჭიროა მოიჭრას ყველა ღერო დაზიანების წერტილამდე.

მიმდინარე წლის ნაზარდზე მსხმოიარე ჯიშები (მაგალითად, Prime-Ark 45 და Reuben) უნდა გაისხლას ნიადაგის დონეზე ზამთრის ბოლოს (თებერვალი). ახალაღმოცენებული ყლორტები, დაახლოებით, 1 მეტრ სიმაღლემდე გაზრდის შემდეგ, უნდა დამოკლდეს ზაფხულის დასაწყისში ყვავილების კვირტის ფორმირებამდე (სურათი 21). ეს ხელს შეუწყობს მეორადი გვერდითი ტოტების ფორმირებას, უფრო ძლიერი საყვავილე კვირტების განვითარებას და ნაყოფის გამოსხმას ზაფხულის ბოლოსა და შემოდგომაზე. თუმცა, ღეროების დამოკლება არ არის რეკომენდებული საქართველოს შედარებით გრილ რეგიონებში, ვინაიდან ეს, სულ მცირე, 3 კვირით შეაფერხებს აყვავილებას და ნაყოფის წარმოებას. ამან შეიძლება გამოიწვიოს ნაყოფის მოსავლის მნიშვნელოვანი დანაკარგი შემოდგომის ყინვით დაზიანების გამო. რეკომენდებული არ არის ზაფხულში ყლო-

რტების წვერების დამოკლება წვერზე ყვავილების განვითარების შემდეგ ან თუ სასურველია საადრეო მოსავალი. ზაფხულში სამეგრელოს რეგიონში რეკომენდებულია წვერების დამოკლება. ამან შეიძლება გაზარდოს მოსავლიანობა 2-3 ჯერ ამ შედარებით თბილ რეგიონში იმ ტოტებთან შედარებით, რომლებიც ბოლოში არ გადაიჭრა. მიმდინარე ნაზარდზე მსხმოიარე ჯიშებისთვის რიგის ყოველი მეტრში, დაახლოებით, 3-4 ყლორტი უნდა შენარჩუნდეს ნაყოფის გამოსასხმელად. ყველა სხვა ყლორტი უნდა მოსცილდეს.



სურათი 21. ზაფხულში მსხმოიარე ყლორტის წვერის დამოკლება ხელს უწყობს გვერდითი ტოტების ჩამოყალიბებას და ნაყოფიერების გაზრდას.

შესაძლებელია ზაფხულში მოსავლის აღება მაყვლის ნერგის ქვედა 120 სმ-ის მონაკვეთში მეორე წელს, თუ ღეროები არ გაისხლა ნიადაგის დონეზე და არ განიცადა ზამთარში დაზიანება. თუმცა, ზაფხულის მოსავალი მნიშვნელოვნად შეამცირებს შემოდგომაზე მოსავლიანობას. ამიტომ, თუ სასურველია ზაფხულის მოსავალი, რეკომენდებულია ზაფხულში მსხმოიარე, გაცილებით მაღალმოსავლიანი სახეობის ჯიშების დარგვა, ვიდრე მიმდინარე წლის ნაზარდზე მსხმოიარე ჯიშებისა, რომელიც გასხლულია ზაფხულის მოსავლისთვის.

გასხვლა უნდა ჩატარდეს მჭრელი სეკატორით ან საჭრელი დანით. ღეროს მოჭრისას უნდა გაკეთდეს გლუვი, სუფთა მონაჭერი.

განოყიერება

მცენარის კვება უაღრესად მნიშვნელოვანია მაყვლის ზრდის, მოსავლიანობის და ნაყოფის ხარისხისთვის. ამაზე, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ნიადაგის სტრუქტურა, pH-ის დონე და ორგანული ნივთიერებების პროცენტული შემცველობა. დარგვამდე საჭიროა ნიადაგის ანალიზის ჩატარება, რათა დადგინდეს ყველა მაკრო და მიკრო საკვები ნივთიერება და ნიადაგის pH. გარდა ამისა, პერიოდულად, სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში უნდა ჩატარდეს ფოთლის ანალიზი ყველა საკვებ ნივთიერებაზე და წვენის ანალიზი N-ის და K-ს შემცველობაზე, რათა უფრო ზუსტად განისაზღვროს მაყვლის განოყიერების საჭიროება. მცენარის სიძლიერე, ღეროს სისქე, ფოთლის ზომა და ფოთლების ფერი მისი ჯანმრთელობის და განოყიერების პროგრამის სათანადოობის სასარგებლო მაჩვენებლებია.

მაყვლის განოყიერება შესაძლებელია ერთი ან მეტი მეთოდით, მათ შორის: 1) ნაკელი, 2) გრანულირებული სასუქი, 3) თხევადი სასუქის შეტანა წვეთოვანი სარწყავი სისტემით (fertigation) და 4) მიკროელემენტების ფოთლებზე შეფრქვევა. თითოეული მეთოდის გამოყენებისას დამატებული მთლიანი სასუქის მოცულობა დამოკიდებულია კონკრეტულ საკვებ ნივთიერებაზე, ნიადაგის ბუნებრივ ნაყოფიერებაზე და წვეთოვანი სარწყავი სისტემის არსებობაზე. წვეთოვანი სარწყავის გარეშე სასუქის დამატება შეიძლება შემდეგი კომბინაციით: ნაკელი, მარცვლოვანი ფორმები და ფოთლებზე შეფრქვევა.

ნაკელი

მიუხედავად იმისა, რომ ნაკელი მოცულობითია და ერთ ტონაზე შედარებით დაბალი საკვები ნივთიერებების შემცველობა აქვს, ის შეიძლება განოყიერების პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილი გახდეს. ნაკელის განოყიერების მაჩვენებელი განსხვავებულია და, ჩვეულებრივ, არ არის დაბალანსებული N-P-K-ს მიმართ. როგორც წესი, ნაკელი შეაქვთ 10-20 ტონა ჰექტარზე (ჰა), ნიადაგის ნაყოფიერებიდან გამომდინარე. ფრინველის ნაკელი, რომელშიც, როგორც წესი, N-ის შემცველობა მაღალია, უნდა დაემატოს 5-10 ტონა ჰექტარზე. ნაკელის სათანადოდ კომპოსტირებისას შესაძლებელია მისი უსაფრთხოდ დამატება სეზონის ნებისმიერ დროს. ორგანული სასუქის, განსაკუთრებით, დაუმუშავებელი ნაკელის გამოყენებისას, ჩამოყალიბებული მაყვლის ბუჩქების რიგში რთულია წვრილმარცვლოვანი ტექსტურის არმქონე ნივთიერების გაშლა. მსხვილმარცვლოვანი კომპოსტის ან ნაკელის დამატება უფრო იოლია მისი გაცრის ან, უბრალოდ, დაფხვნისას. სავარაუდოდ, სავეგეტაციო პერიოდში ერთ ჰექტარზე დამატებული პირუტყვის ნაკელის 10 ტონიდან მაყვლის ნარგავებისთვის

შესაწოვად გამოიყოფა, დაახლოებით, 2 კგ-ზე მეტი N. ნიადაგის განოყიერებისთვის ღირებული დანამატია, ასევე, კომპოსტი ანუ ნამჯის და ნაკელის ნარევი, თუმცა სუფთა ნაკელთან შედარებით მისი განოყიერების მაჩვენებელი ნაკლებია.

გაშენებულ ნარგავებში ორგანული ნივთიერება ან ნაკელი უნდა დაემატოს მაყვლის რიგში უშუალოდ გასხვლის შემდეგ. ორგანული ნივთიერების და ნაკელის დამატება, ასევე, შეიძლება რიგის ორივე მხარეს გაჭრილი ზედაპირული ღარების საშუალებით, რიგის მიმართულების პარალელურად, ცენტრიდან, დაახლოებით, 45 სმ-ის დაშორებით. ახალ ნაკვეთებში საუკეთესო მეთოდია კომპოსტის ან ნაკელის დამატება რიგში ან შემაღლებულ კვალში და მსუბუქად შერევა ნიადაგის ზედა 10 სმ-ის შრეში, დარგვამდე. შესაძლებელია, ასევე, ამ ნივთიერებების დამატება რიგში ან კვალში მას შემდეგ, რაც მაყვლის ნარგავები 8 სმ-ზე ან მეტად გაიზრდება. ნაკელი ან ორგანული ნივთიერება უნდა წარმოადგენდეს მაყვლის ყოველწლიური განოყიერების პროგრამის განუყოფელ ნაწილს, თუმცა არ უნდა იყოს ერთადერთი წყარო მცენარის საკვები ნივთიერებებით მომარაგებისთვის. საჭიროა დამატებითი განოყიერება გრანულებიანი ან/და თხევადი ფორმებით.

გრანულირებული სასუქი

მაყვლის ნარგავებისთვის ყველაზე დიდი რაოდენობით საჭიროა შემდეგი სამი ელემენტი: აზოტი (N), კალიუმი (K) და ფოსფორი (P). მაყვლის ზრდის პირველ წელს უნდა დაემატოს, დაახლოებით, 35 კგ/ჰა N, გამოყენებული ნერგისგან დამოუკიდებლად. პირველი წლის განმავლობაში მარცვლოვანი სასუქის გამოყენება არ უნდა დაიწყოს მანამ, სანამ ნერგი არ დაიწყებს ზრდას, ვინაიდან ახალგაზრდა მაყვლის ნარგავებს იოლად აზიანებს სასუქში შემავალი ჭარბი მარილები. ყველა შემდგომი სავეგეტაციო სეზონების განმავლობაში ყველა ორწლიანზე მსხმოიარე (floricane) ტიპის მაყვალს წელიწადში უნდა დაემატოს არანაკლებ 75 კგ/ჰა ფაქტობრივი N, მიმდინარე წლის ნაზარდზე მსხმოიარე (primocane) ტიპის მაყვლის ჯიშებს კი 110 კგ/ჰა ფაქტობრივი N წელიწადში.

ფოსფორი ყოველწლიურად უნდა შევიდეს 25-30 კგ/ჰა ოდენობით, კალიუმი = 50-60 კგ/ჰა. მსხმოიარე floricane ტიპის მაყვლის ნარგავებში მარცვლოვანი სასუქი უნდა შეტანილ იქნას 2 ან 3-ჯერადად, პირველად - ადრე გაზაფხულზე, როგორც კი ახალი ზრდა იწყება, მეორე - მაისის ბოლოს და ივნისის დასაწყისში, საბოლოო კი - ივლისის შუა რიცხვებში. primocane ჯიშებში რამდენიმე ჯერზე განოყიერება უნდა ჩატარდეს გაზაფხულზე, ივნისის შუა რიცხვებში და ივლისის ბოლოს. საჭიროა ნაკელიდან შეთვისებული N-ის გათვალისწინება და, შესაბამისად, უნდა შემცირდეს მარცვლოვანი ან თხევადი სასუქის მოცულობა. რეკომენდებულია ჩავთვალოთ, რომ ნაკელის ან კომპოსტის შეტანა შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში განოყიერების წლის განმავლობაში ხელმისაწვდომი იქნება N-ის მხოლოდ 50%. თუმცა, N-ის ხელმისაწვდომობა ფრინველის სუფთა ნაკელში პირველ წელს შეიძლება 90%-ის ფარგლებში იყოს. მარცვლოვანი N-ის სასუქი უნდა დაემატოს ზოლში შეტანით მაყვლის ნარგავებიდან 25-30 სმ დაშორებით და ნიადაგში უნდა შეერიოს 5-10 სმ-ის სიღრმეზე.

ფერტიგაცია

N, P და K სასუქის და ყველა მიკროელემენტის (საჭიროების შემთხვევაში) მთლიანი რეკომენდებული მოცულობის, დაახლოებით, 25% შეიძლება დაემატოს კვლების ფორმირებამდე. დარჩენილი N, P, და K უნდა დაემატოს წვეთოვანი სარწყავი სისტემის მეშვეობით (მისი არსებობის შემთხვევაში) მთელი სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში. ფერტიგაციის სისტემა სათანადოდ უნდა დაკალიბრდეს, რათა შევიდეს დარჩენილი N, P, და K, რომელიც არ დამატებულა გრანულირებული ფორმით ან/და ნაკელის საშუალებით. ნაკვეთების უმრავლესობაში ამისათვის საჭირო იქნება, დაახლოებით, 30-50 კგ/ჰა N-ის, 15-20 კგ/ჰა ფაქტობრივი P-ს და 30-40 კგ/ჰა ფაქტობრივი K-ის დამატება. N, P, და K-ის უდიდესი ნაწილი უნდა დაემატოს ახალი ყლორტების გამოტანიდან გაზაფხულზე და მოსავლის აღებას შორის პერიოდში. N არ უნდა დაემატოს აგვისტოს შუა რიცხვების შემდეგ. შედეგად, შესაძლებელი იქნება მცენარეული ზრდის შენელება და მცენარეს ექნება ადეკვატური დრო ზამთრის დაწყებამდე უფრო გაძლიერებისთვის.

ორგანული ნივთიერებებით მდიდარ ნიადაგებში მთელი N, P და K-ის დამატება შეიძლება წვეთოვანი სარწყავი სისტემის მეშვეობით. N-ის სულ ცოტა 50% უნდა იყოს ნიტრატის ფორმით. მაყვლის მოსავალი, როგორც წესი, უფრო მაღალია, როდესაც წვეთოვანი სარწყავი სისტემის მეშვეობით შეყვანილია N და K-ის უდიდესი ნაწილი, განსხვავებით იმ მეთოდისგან, როდესაც N და K მთლიანად ან მისი უდიდესი ნაწილი შეიტანება მარცვლოვანი ფორმით. ფერტიგაციის სიხშირე, როგორც ჩანს, ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე დამატებული სასუქის რაოდენობა. თუმცა, თხევადი სასუქის ხშირად და მცირე რაოდენობით დამატებამ შეიძლება შეამციროს ხსნადი მარილით გამოწვეული პოტენციური პრობლემები. საზოგადოდ, თხევადი სასუქი ემატება 1-2 საათის განმავლობაში ფერ-ტიგაციისას ყოველდღიურად ან ყოველ მეორე დღეს მაყვლის ყვავილობის და მსხმოიარობის პერიოდში. მზა თხევად სასუქს ხშირად ურევენ N და K-ის ხსნარებში. კონცენტრირებული მასალების შეყვანა უფრო იოლია, ვინაიდან სასუქის იგივე მოცულობის შესაყვანად საჭიროა უფრო მოკლე ციკლები, შედარებით უფრო განზავებული სასუქის ხსნარისგან.

ნალექის თავიდან აცილების მიზნით წვეთოვანი სისტემის საშუალებით დამატებული ქიმიკატები ძლიერ ხსნადი უნდა იყოს. თუ ინექცირებისთვის სასუქი ხსნარის მომზადებისას გამოიყენება ერთზე მეტი მასალა, ქიმიკატები არ უნდა შევიდეს ერთმანეთთან რექციაში, რათა არ წარმოიქმნას ნალექი. ამას გარდა, ქიმიკატები უნდა იყოს თავსებადი ელემენტებთან, რომლებსაც ისინი შეერევიან სარწყავ წყალში ინექცირების შემდეგ. კონცენტრირებულმა სასუქის ხსნარებმა ან ძალიან დაბალი ან მაღალი pH-ის მქონე სასუქებმა შეიძლება გამოიწვიოს სპილენძის, თუთიის და ბრინჯაოს შენადნობების და სარწყავი სისტემების სხვა ლითონის ნაწილების კოროზია. ამიტომ, სისტემის კომპონენტები, რომლებიც შეხებაშია კოროზიულ ხსნარებთან, უნდა შედგებოდეს უჟანგავი ფოლადის, პლასტმასის ან სხვა შედარებით ინერტული მასალებისგან.

ფერტიგაციისთვის გამოსაყენებლად კარგია შემდეგი სასუქები: ამონიუმის ნიტრატი, ამონიუმის სულფატი, კალციუმის ნიტრატი, შარდოვანა, კალიუმის ნიტრატი და ამონიუმის ფოსფატი. მაყვლის ზრდა, საზოგადოდ, მსგავსია N სასუქის სხვადასხვა სახეობის გამოყენებისას, იმავე საერთო რაოდენობის დამატებისას. K-ის ნებისმიერი გავრცელებული წყაროების (ქლორიდის, სულფატის ან ნიტრატის ფორმის) გამოყენება შეიძლება წვეთოვანი სარწყავი სისტემებისთვის. თუმცა, კალიუმის ქლორიდთან შედარებით უპირატესობა ენიჭება კალიუმის სულფატს და კალიუმის ნიტრატს, ვინაიდან კალიუმის ქლორიდმა შეიძლება გამოიწვიოს მოწამვლა.

დადგენილია, რომ ფოსფორი უკეთესად შეითვისება, თუ ის დაემატება პატარა დოზებით წვეთოვანი სარწყავი სისტემებით. საზოგადოდ, სეზონის დასაწყისში მაყვალს ესაჭიროება P, ამდენად, მნიშ-ვნელოვანია, რომ ეს ელემენტი დაემატოს დარგვისას ან დარგვიდან ძალიან ცოტა ხნის შემდეგ. ფოსფატების წვეთოვან სისტემებში ინექცირებისას ისინი შეიძლება რეაქციაში შევიდნენ საირიგაციო წყალში არსებულ კალციუმთან და წარმოქმნან უხსნარი ნალექი, რომელიც გაჭედავს წვეთოვანებს. თუმცა, სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში, შესაძლებელია ნალექის წარმოქმნის პრობლემების თავიდან აცილება. ამისთვის ხდება ფოსფორმჟავას ხსნარის შემჟავება გოგირდმჟავასთან შერევით ან ფოსფორმჟავას ინექცირების შემდეგ დაუყოვნებლივ გოგირდმჟავას ინექცირება. ხსნარის შეყვანა ახდენს სარწყავი წყლის ოდნავ შემჟავებას და ხელს უშლის ფოსფორის დალექვას, ნიადაგში რაიმე უარყოფითი ეფექტების გამოწვევის გარეშე.

ფესვგარეშე გამოკვება ფოთლებიდან მიკროელემენტებით

მიკროელემენტების სასურველი დიაპაზონი საკმაოდ პატარაა და მათი ჭარბი ოდენობით გამო-ყენებისას შესაძლებელია მეტი ზიანი, ვიდრე მათი დეფიციტით იქნებოდა გამოწვეული. ამის გამო, მაყვალს არ უნდა დაემატოს მოკროელემენტები, თუ დეფიციტი არ დასტურდება ფოთლის ანალი-ზით ან თვალსაჩინო სიმპტომებით. კონკრეტული მიკროელემენტის დეფიციტის გამოვლენის და და-დასტურებისას ფოთლებზე სათანადო მიკროელემენტის დამატება საკმარისი უნდა იყოს დარღვევის გამოსასწორებლად. ფოთლებზე რამდენჯერმე დამატება, დაახლოებით, 10 დღის ინტერვალით შეიძლება საჭირო იყოს სიმპტომების მოსახსნელად. თუ მიკროელემენტი ფორმულაში არ შედის, საჭიროა დამატენიანებელი ნივთიერების გამოყენება. ფოთლებიდან მიკროელემენტების დამატება

არ უნდა მოხდეს ყვავილობის პერიოდში, ყვავილების შესაძლო სიდამწვრის გამო. ნიადაგში მიკროელემენტების გრანულირებულ ფორმებში დამატება, საზოგადოდ, არ არის ისევე ეფექტური მიკროელემენტების დეფიციტის დასაძლევად, როგორც ფოთლებზე შეფრქვევა.

ფოთლის ანალიზი

განოყიერების პროგრამის დასარეგულირებლად მწარმოებლებმა ყოველწლიურად უნდა შეამოწმონ მაყვლის მცენარეში საკვები ნივთიერებების შემცველობა. ფოთლის ანალიზის შედეგების მიხედვით შეიძლება აუცილებელი გახდეს განოყიერების პარამეტრების მოდიფიცირება. ანალიზისთვის რეპრეზენტაციული ნიმუშის შესარჩევად მთელი ნაკვეთიდან შემთხვევითი პრინციპით შერჩეული 10 ნარგავიდან უნდა აიღოთ, დაახლოებით, 5 ახალგაზრდა მომწიფებული ფოთოლი (ყუნწებთან ერთად). საჭიროა შემოწმდეს ნაკვეთის სხვადასხვა ნაწილიდან შემთხვევითი პრინციპით შერჩეული მცენარეები. გარდა ამისა, უნდა შემოწმდეს დეფიციტის სიმპტომების მქონე მცენარეები, რათა გადამოწმდეს უჩვეულო ვიზუალური სიმპტომების კავშირი საკვები ნივთიერებების ფაქტორთან. 1-ელ ცხრილში მითითებულია თითოეული ელემენტის ოპტიმალური, ოპტიმალურზე დაბალი და ჭარბი კონცენტრაციის ზღვრები. კონცენტრაციები ემყარება მშრალ წონას. ოპტიმალურზე ნაკლები ან ჭარბი კონცენტრაციით საკვები ნივთიერებები ამცირებს მაყვლის მოსავლიანობას.

ცხრილი1. მაყვლის ფოთლებში საკვები ნივთიერებების კონცენტრაციის კატეგორიზაცია

ელემენტი	ოპტიმალურზე დაბალი	ოპტიმალური	ჭარბი
	მაკროელემენტები (%)		
აზოტი	< 2.0	2.5	> 3.0
ფოსფორი	< 0.25	0.35	> 0.4
კალიუმი	< 1.5	2.0	> 2.5
კალციუმი	< 0.6	1.7	> 2.5
მაგნიუმი	< 0.3	0.7	> 0.9
გოგირდი	< 0.3	0.4	> 0.5
	მიკროელემენტები (ppm)		
მაგნიუმი	< 50	150	> 200
რკინა	< 50	150	> 200
ცინკი	< 20	35	> 50
სპილენძი	< 7	30	> 50
ბორი	< 30	40	> 50

დეფიციტის სიმპტომები

მაყვლის საკვები ნივთიერებების შემცველობა ხშირად შეიძლება განისაზღვროს ფოთლის გარეგნული თვისებებით. არასაკმარისი განოყიერება ხშირად ვლინდება დამახასიათებელი დეფიციტის სიმპტომებით. თითოეულ არსებით მაკრო და მიკრო ელემენტებს მისთვის დამახასიათებელი დეფიციტის სიმპტომები აქვს. დეფიციტის სიმპტომების ვიზუალური დიაგნოზი კიდევ ერთი ხერხია, რომელიც შეუძლიათ გამოიყენონ გამოცდილმა ფერმერებმა განოყიერების რეჟიმის კორექტირებისთვის და საკვები ნივთიერებების ნაკლებობის დასაძლევად. სამწუხაროდ, დეფიციტის სიმპტომების გამოვლენისას დაზიანების დიდი წილი უკვე მიყენებული იქნება. თუმცა, რაც უფრო დროულად გამოსწორდება დეფიციტი, მით უფრო ნაკლები იქნება მიყენებული ზიანი. მე-2 ცხრილში აღწერილია მაყვლის ფოთლის საკვები ნივთიერებების დეფიციტის ტიპური სიმპტომები.

ცხრილი 2. მაყვლის ფოთოლში საკვები ნივთიერებების დეფიციტის სიმპტომები

საკვები ნივთიერება	სიმპტომები
აზოტი	ღია მწვანე-მოყვითალო ფოთლები წითელ კიდეებზე წითელი შეფერილობით, თუმცა ეს შეფერილობა ფოთლის თითქმის მთელ ზედაპირზე შეიძლება გავრცელდეს.
ფოსფორი	იწვევს უსიცოცხლო, მოლურჯო-მომწვანო ან ალისფერ ფერს. ალისფერი გაუფერულება განსაკუთრებით შესამჩნევია ფოთლის ქვედა ზედაპირზე. სუსტი ზრდა. ფოთლის მცირე ზომა.
კალიუმი	ფოთლის კიდეებზე სიდამწვრე და გაყვითლება. ქსოვილის გაყავისფრება. განსაკუთრებით ზიანდება ძველი ფოთლები. ფოთლები იხვევა უკან, თუმცა სიდამწვრით დაზიანებული კიდეები იხვევა წინ.
მაგნიუმი	შედარებით ძველი ფოთლების ქლოროზი, ძირითადად, ძარღვებს შორის და კიდეებზე. ნეკროზი - მწვავე დეფიციტის შემთხვევაში.
კალციუმი	ბოლოების სიდამწვრე და დანაოჭება ახალგაზრდა ფოთლების კიდეებზე.
გოგირდი	ფოთლების ღია მწვანე-მოყვითალო ფერი. N-ის დეფიციტის მსგავსია, თუმცა გაწითლების გარეშე. პროგრესირებულ ეტაპებზე ფოთლებზე ვითარდება მცირე ნეკროზული უბნები.
რკინა	ახალი ფოთლების გაყვითლება და ძარღვებს შორის ქლოროზი, ფოთოლზე რჩება ძარღვების მწვანე „ჩონჩხი“. სერიოზული დეფიციტი იწვევს ფოთლების გათეთრებას და ფოთლის კიდეებზე ძარღვებს შორის ვითარდება ყავისფერი უბნები.
მანგანუმი	ახალგაზრდა ფოთლების გაყვითლება და ძარღვებს შორის ქლოროზი. გაყვითლება იწყება ფოთლის კიდის გასწვრივ და გადადის შუა ძარღვისკენ კარგად განსაზღვრული მოდელით. შედარებით ძველი ფოთლები რჩება მწვანე ან ნაკლებად ზიანდება ქლოროზით. მწვავე შემთხვევებში ფოთლის სიდამწვრე და ზევით დახვევა.
თუთია	მოკლე მუხლთშორისი, პატარა ვიწრო ფოთლები და ძარღვებს შორის ქლოროზი, ყლორტის და ტოტის მოხმობით. წინწასულ სტადიებზე პატარა, ვიწრო წვერში არსებული ფოთლები მოწყობილია სპირალისებურად. ეს იწვევს ტიპურ „როზეტს“ და „პატარა ფოთლის“ დეფიციტის სიმპტომებს.
სპილენძი	ზრდადაუსრულებელი ფოთლების ღია მწვანე ფერი. ძარღვებს შორის უბნები ხდება ღია მწვანე. ფოთლის ზედა მხარის გათეთრება ან გაუფერულება, გამოხატული მწვანე კონტურით.
ბორი	ახალგაზრდა ფოთლების დანაოჭება და ბოლოების სიდამწვრე, რასაც მოსდევს კიდეების გაყვითლება და დაგრეხა. ზრდის წერტილის შემცირებული ზრდა. მოკლე და გამუქებული ფესვები.
მოლიბდენი	ახალგაზრდა ზრდასრული ფოთლების ერთგვაროვანი გაყვითლება და შედარებით ძველი ფოთლების ნეკროზი. ფოთლების დახვევა კიდეების ზედა მხარეს.

მორწყვა

მაყვლის ძლიერი ზრდის და ოპტიმალური მოსავლის მისაღებად საჭიროა საკმარისი რაოდენობით წყალი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემცირდება ნაყოფის ზომა. საუკეთესო შემთხვევაში წყალი თანაბრად უნდა განაწილდეს მთელი სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში. წყლის მოთხოვნილება განსხვავებულია ამინდის, მცენარეთა დარგვის სიხშირის და სიძლიერის მიხედვით. თუმცა, მაქსიმალური ან პიკური ტენიანობის მაჩვენებლად ითვლება დღეში 0.5-დან 0.8 სმ-მდე. მაყვალი პრაქტიკულად მთელ ტენს იღებს ნიადაგის ზედა 60 სმ-იდან. სხვადასხვა ნიადაგი ზედა 60 სმ-ში წყლის სხვადასხვა მოცულობას ინარჩუნებს. მაგალითად, კარგად დრენაჟირებად ქვიშოვან ნიადაგებს მხოლოდ 5 სმ წყლის შენარჩუნება შეუძლიათ, ლამოვანს კი - 10 სმ-ისა. საზოგადოდ ითვლება, რომ მორწყვა უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც ნიადაგში ხელმისაწვდომი ტენის 50 პროცენტია გამოყენებული. პიკური გამოყენებისას რწყვა ხდება წინა ირიგაციიდან 5-10 დღეში, ნიადაგის ტიპის და წვიმის ფაქტორის მიხედვით.

მაყვლის მოსარწყავად სასურველი მეთოდია წვეთოვანი სისტემით მორწყვა. მისი უპირატესობებია წყლის და ენერგიის მოხმარების დაბალი მაჩვენებელი, ტენიანობის სტანდარტული დონე, არ უწყობს ხელს ნაყოფის სიდამპლის განვითარებას. ნაკლოვანებები მოიცავს სუფთა წყლის წყაროს საჭიროებას, პერიოდული გამოცვლის საჭიროებას, კულტივაციის შედეგად საირიგაციო სისტემის შესაძლო დაზიანებას და მღრღნელების დაზიანებისგან დაუცველობას. ზემოდან შესხურებით ირიგაციის სისტემის გამოყენება არ არის რეკომენდებული, ვინაიდან ამან შეიძლება ხელი შეუწყოს ფოთლების დაავადებების და ნაყოფის სიდამპლის წარმოქმნას.

საქართველოში მაყვლის წარმოებისთვის წვეთოვანი ირიგაციის ყველაზე შესაფერისი სახეობაა კომპენსირებული დრეკადი მილები (ანუ T-tape) მთიანი/მაღლობიანი ადგილებისთვის და არაკომპენსირებული დრეკადი მილები ვაკეზე გაშენებული ნაკვეთებისთვის. არსებობს წვეთოვანი სისტემის სხვადასხვა სახეობა: ნიადაგზე დაფენილი, მიწაში ჩაფლული ან მავთულის ჩარჩოდან ჩამოკიდებული. თუ მასალა ჩაფულია ნიადაგში, წვეთოვანი მოწრყვის ხაზი უნდა ჩაიფლას 15-20 სმ-ზე, საფხვიერებელი ტენიკისგან დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

სურათი 22. ერთრიგიანი წვეთოვანი ირიგაციის მილები ახალგაზრდა მაყვლის ნაკვეთის რიგის ცენტრში.

შედარებით ძვირი, თუმცა გამძლე სისტემებია წნევით კომპენსირებული საწვეთუები. ამ საწვეთურებიდან, როგორც წესი, საათში 2-4 ლიტრი წყალი გამოედინება, ისინი განლაგებულია 30 სმ-ის დაშორებით. ყველა სისტემას სჭირდება კარგი წყლის ფილტრი, წყლის მიწოდების წყაროს მიუხედავად და წნევის მარეგულირებელი.

საშუალოდ, მაყვლისთვის საჭიროა 25-38 მმ წყალი კვირაში წვიმის ან მორწყვის სახით, აყვავილებიდან მოსავლის აღების დასრულებამდე. თუმცა, ივნისში და ივლისში ნაყოფის განვითარების პერიოდში აუცილებელია უფრო მეტი მოცულობა, 38 მმ კვირაში. ამას გარდა, სათბურებში მოყვანილ მაყვალს ესაჭიროება მეტი წყალი, ვიდრე ღია გრუნტში გაშენებულს. საერთოდ, არ არის სასურველი floricane ტიპის ჯიშების მორწყვა ზაფხულის ბოლოს და შემოდგომაზე, რადგან ეს აფერხებს ზამთრისთვის გაძლიერების უნარს.

წყლის საჭირო მოცულობის განსაზღვრისას, საზოგადოდ, სასურველია გამოიყენოთ საკმარისი წყალი იმისთვის, რომ ნიადაგის ზედა 60 სმ-ის ტენიანობის დონე დაუბრუნდეს 100 პროცენტს. გახსოვდეთ, რომ სარწყავი აღჭურვილობის ეფექტიანობა მხოლოდ 75 პროცენტია, ამდენად, ირიგაციის სისტემიდან საჭიროა, დაახლოებით, 33 მმ წყლის გამოშვება 25 მმ-ის მისაწოდებლად. მორწყვის ინტენსივობა არ უნდა იყოს ნიადაგის შეწოვის უნარზე მაღალი. ჭარბი ირიგაცია არაეკონომიკურია, შეიძლება საზიანო იყოს მაყვლისთვის და უნდა მოერიდოთ. ჭარბმა მორწყვამ, ასევე, შეიძლება გამოიწვიოს ნაკლებად მყარი ნაყოფის ჩამოყალიბება, რომელიც დაკრეფისა და ტრანსპორტირებისას იოლად დაზიანდება. ზედმეტად მორწყვის შედეგად შეიძლება გამოირეცხოს საკვები ნივთიერებები, განსაკუთრებით N, უშუალოდ ფესვთა ზონის ქვემოთ. ამას გარდა, ნიადაგის ჭარბი ტენიანობა ამცირებს ნიადაგის აერაციას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფესვთა პათოლოგიური ზრდა და სერიოზული დაავადები.

ნიადაგის ტენიანობის შეფასება

ნიადაგის ტენიანობის შესაფასებლად და მორწყვის დროის განსაზღვრისთვის ხშირად კარგი მეთოდია ნიადაგის მუჭში დამრგვალება. ნიადაგის ნიმუში უნდა აიღოთ ფესვის მაქსიმალური სიღრმის დონიდან

(დაახლოებით, 15-25 სმ). თუ ნიადაგი არ შეიკრა მყარ ბურთად მუჭში შეკუმშვისას, ტენიანობა დაცემულია იმ დონეზე, როდესაც საჭიროა მორწყვის დაწყება. თუ აღებული ნიადაგი იკვრება ბურთად, ეს ნიშნავს, რომ ნიადაგის ტენიანობა საკმარის დონეზეა.

მორწყვის დრო და სარწყავი წყლის მოცულობის განსაზღვრაც შეიძლება ნიადაგის ტენზიომეტრის გამოყენებით. ეს მცირე ტენიანობის საზომი ზონდი უნდა ჩაიდგას ნიადაგში ისე, რომ წვერმა ჩააღწიოს 15 სმ სიღრმეზე. როდესაც ნიადაგის ტენიანობა 15 სმ სიღრმეზე ტენტევადობის 40%-ზე დაბლაა, ეს ნიშნავს, რომ მორწყვის დაწყების დროა.

დამტვერვა

მაყვლის ყვავილები სათანადოდ უნდა დაიმტვეროს ერთგვაროვანი ფორმის მქონე ნაყოფის მისაღებად. ნაყოფის განვითარება დამტვერვის შემდეგ სწრაფად ხდება, უმეტესად, 40-50 დღის განმავლობაში. მაყვალი მარცვლების მტევნებია, რომლებიც მიმაგრებულია ცენტრალურ ყვავილსაჯდომზე. თუ ნაყოფი ნორმალური ზომისაა, მაგრამ აქვს უჩვეულოდ ცოტა მარცვალი, ეს შეიძლება მიანიშნებდეს არასათანადო დამტვერვაზე. ცუდმა დამტვერვამ შეიძლება, ასევე, გამოიწვიოს ნაყოფის კოშტოვანება (სურათი 23). მაყვლის დამტვერვის 90-95% ფუტკრებზე მოდის, თუმცა ქარიან ან ცივ ამინდში უფრო ეფექტური დამტვერვა შეიძლება უზრუნველყონ „ბიობის“(ხელოვნურად გამოყვანილი კრაზანები, რომლებიც არ აწარმოებენ თაფლს) და ველურმა ფუტკრებმა.

სურათი 23. ცუდი დამტვერვის შედეგად ფორმირდება დეფორმირებული და განუვითარებელი ნაყოფი.

ძალიან მნიშვნელოვანია ფუტკრის სკების განთავსება მაყვლის ყვავილების სათანადო დამტვერვისთვის. რეკომენდებულია ჰექტარზე ხუთი სკის განთავსება. სკები უნდა დაიდგას ისე, რომ ფუტკრის ფრენის მარშრუტები არ იყოს ქარის მიმართულების საწინააღმდეგო.

„ბიობის“ ტიპის ფუტკრები გადახურულ სივრცეში მოყვანილი მაყვლისთვის უფრო სასურველი დამამტვერიანებელია. ისინი ძალიან სწრაფები არიან, წუთში ჩვეულებრივ ფუტკართან შედარებით ორჯერ მეტი რაოდენობის ყვავილზე ჯდებიან. მათ შეუძლიათ უფრო მეტი ტვირთის ტარება, თავიანთი ზომიდან გამომდინარე და ხშირად მტვრიანასთან უკეთ აღწევენ. „ბიობი“ გაცილებით ნაკლებადაა დამოკიდებული კლიმატურ პირობებზე, ვიდრე ჩვეულებრივი ფუტკარი, რომელიც, როგორც წესი, ფრენის დაწყებისთვის მზის ამოსვლას ელოდება. „ბიობი“ აქტიურობას ინარჩუნებს შედარებით დაბალი ტემპერატურის პირობებში და სინათლის დაბალი ინტენსივობისას. ქარიან ამინდში მათი სიჩქარე 70 კმ/სთ-მდეა, ჩვეულებრივ ფუტკარს კი მხოლოდ 30 კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეუძლია. „ბიობის“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაა კომუნიკაციის სისტემის არარსებობა. ვინაიდან ფუტკრები ატყობინებენ ერთმანეთს მაყვლის ნარგავების გარეთ მიმზიდველი ყვავილების შესახებ, როგორიცაა ბაბუაწვერა, მათ შეიძლება გადაწყვიტონ მაყვლის ნაკვეთის დატოვება. „ბიობს“ არ აქვს ასეთი კომუნიკაციის სისტემა. „ბიობის“ შესყიდვა შეიძლება Koppert Biological Systems-იდან. Tripol, კომპანიის ბრენდის - Natupol-ის ფარგლებში, წარმოადგენს Koppert-ის უახლესი „ბიობის“ სკის დიზაინს ეფექტური ბუნებრივი დამტვერვისთვის.

სათბურში წარმოება

სათბურში მაყვლის გაშენება (გათბობის სისტემის გარეშე პოლიეთილენით დაფარული მაღალი გვირაბები) მთელი მსოფლიოს მასშტაბით სულ უფრო ხშირად გამოიყენება (სურათი 35). მიუხედავად

იმისა, რომ ისინი უზრუნველყოფენ ყინვისგან გარკვეულწილად დაცვას, მათი ძირითადი დანიშნულებაა რამდენიმე კვირის განმავლობაში ყოველდღიურად ტემპერატურის რამდენიმე გრადუსით გაზრდა. ტემპერატურის კონტროლის გარდა, სათბური უზრუნველყოფს ქარისა და წვიმისგან დაცვას, ნიადაგის გათბობას და, ზოგიერთ შემთხვევაში, მწერების, დაავადებების და მტაცებლების, მაგ., მღრღნელების და ფრინველის კონტროლს.

სათბურების გამოყენებით შესაძლებელია მცენარის უფრო ეფექტური ზრდის მიღწევა. შედეგად გვექნება მოსავლის ზრდა და მაღალი ხარისხის ნაყოფი (სურათი 24). გარდა ამისა, შესაძლებელია ნაყოფის სიდამპლის მნიშვნელოვნად შემცირება. სათბურების გამოყენების დადებითი შედეგები განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთ წლებში, როდესაც მოსავლის აღების პერიოდში ხშირი წვიმიანობაა. საქართველოში მაყვლის სათბურებში მოყვანის კიდევ ერთი ძირითადი უპირატესობაა მოსავლის სეზონის გახანგრძლივება. Floricane ტიპის ჯიშების მოსავლის აღება შეიძლება 3 კვირამდე პერიოდით ადრე, ხოლო შემოდგომაზე primocane ტიპის ჯიშების მოსავლის აღება შეიძლება გაგრძელდეს, დაახლოებით, ერთი თვით (ანუ ნოემბრამდე). ეს უზრუნველყოფს მაყვლის რეალიზაციის პერიოდის ხანგრძლივობის მნიშვნელოვან ზრდას. გარდა ამისა, შესაძლებელია საბაზრო ფასის სერიოზული გაუმჯობესება მოსავლის აღების პერიოდის გახანგრძლივების გამო.

სურათი 24. მაღალი გვირაბული ტიპის სათბურში მაყვლის წარმოება მთელ მსოფლიოში სწრაფად იზრდება.

მაღალ გვირაბული ტიპის სათბურებში მაყვლის წარმოება ხელს უწყობს მოსავლიანობის და ხილის ხარისხის გაზრდა–გაუმჯობესებას ღია გრუნტში მოყვანასთან შედარებით. მაღალ გვირაბში წარმოება შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს, როდესაც არსებობს კარგი გასაღების ბაზარი მაღალხარისხოვანი ხილისთვის, რომელიც მოყვანილია პესტიციდების მცირე დოზებით ან პესტიციდების გარეშე, და, აგრეთვე, ხელსაყრელია, როდესაც საჭიროა უფრო ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდი მიმდინარე წლის ნაზარდზე მსხმოიარე მაყვლის უფრო სრულყოფილი მოსავლის მისაღებად. მაღალ გვირაბებში მაყვლის მოყვანა შეიძლება წვეთოვანი სარწყავი სისტემით ან კონტეინერებში, ნიადაგის სუბსტრატის სახით გამოყენებით.

მაღალი გვირაბები საზოგადოდ ლითონის რკალებისგან აგებული კონსტრუქციებია; რკალები მიმაგრებულია ლითონის ბოძებზე, რომლებიც ნიადაგში 60-სმ-ზეა ჩასმული. ისინი დაფარულია ერთი ფენა 6 მმ სასათბურე ხარისხის პოლიეთილენის პარკით და განიავება ხდება ხელით, ყოველ დილით გაზაფხულზე პარკის გვერდებზე აწევით და შებინდებისას – ჩამოშვებით. მუდმივი გათბობის სისტემა არ არის, თუმცა სასურველია იყოს სათადარიგო პორტატული გათბობის ხელსაწყო მოულოდნელი ყინვისგან დასაცავად. შესაძლებელია მაღალი გვირაბის გვერდების აწევა, რათა გვირაბში ადვილად შეეტიოს მცირე დასამუშავებელი და შესასხურებელი მოწყობილობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მაყვლის სათბურებში მოყვანას აქვს პოტენციური უპირატესობები, არსებობს რამდენიმე უარყოფითი მხარე, რომლებიც არ ახასიათებს ღია გრუნტში მოყვანილ მცენარეებს. ნაცარი ესაა დაავადება, რომლის განვითარებასაც ხელს უწყობს მშრალი ფოთლები და მაღალი ტენიანობა. მაღალ გვირაბებში არსებობს ეს ორივე პირობა. შეძლებისამებრ გვირაბში ჰაერის მოძრაობის უზრუნველყოფა შეამცირებს დაავადების განვითარების ალბათობას. აბლაბუდიანი ტკიპა, როგორც წესი, მაყვლის მაღალ გვირაბებში წარმოებისას ყველაზე საშიში მავნებელია. მათთან ბრძოლა შესაძლებელია მტაცებელი ტკიპის პერსილისის გაშვებით. დაცულ სტრუქტურებში შეიძლება სწრაფად გაიზარდოს ტკიპების რაოდენობა, ამდენად, მტაცებელი ტკიპების გაშვება უნდა მოხდეს აბლაბუდა ტკიპას შემჩნევიდან მოკლე ხანში. ამას გარდა, მაღალ გვირაბებში შეიძლება რთული იყოს ყვავილების დამტვერვა, ვინაიდან აქ თავისუფლად ვერ აღწევს ფუტკარი. მაღალი გვირაბული ტიპის სათბურებში სკების დადგმით გადაიჭრება დამტვერვის პრობლემა.

მავნებლებთან ბრძოლა

მაყვალის ძირითადი მავნებლებია სარეველები, მწერები და ტკიპები, დაავადებები და ნემატოდები. მავნებლების მიერ გამოწვეული დაზიანების სიმპტომების ცოდნა და ნარგავების ხშირი მონიტორინგი მნიშვნელოვანია პლანტაციის სერიოზული დაზიანების თავიდან ასაცილებლად. აუცილებელია მავნებლების პრობლემების ადრეული იდენტიფიკაცია და შესაბამისი კონტროლის ღონისძიებების გატარება, რათა მივაღწიოთ ხილის დამაკმაყოფილებლად მოყვანას და მოგებას. ხშირად არსებობს მავნებლის დათრგუნვის რამდენიმე მეთოდი, მათ შორის, პრევენცია, სათანადო სანიტარიული ზომების გატარებით და ბიოლოგიური და ქიმიური კონტროლი. მავნებლებთან ბრძოლის ეფექტური პროგრამები მოიცავს შესაძლო პრობლემების გათვალისწინებას, ხშირ მონიტორინგს და, საჭიროებისამებრ, სათანადო მცენარეთა დამცავი საშუალებების დროულად გამოყენებას.

სარეველებთან ბრძოლა

სარეველები კონკურენციას უწევენ მაყვლის ნარგავებს სინათლის, წყლის და ნიადაგიდან საკვები ნივთიერებების მიღებაში. გარდა ამისა, სარეველები შეიძლება გვევლინებოდნენ მწერების და დაავადებების მასპინძლებად. დარგვამდე სარეველებთან ბრძოლა მნიშვნელოვანია და უნდა დაიწყოს მაყვლის დარგვამდე კარგა ხნით ადრე. გაცილებით იოლია მრავალწლიანი სარეველების დარგვამდე აღმოფხვრა, ვიდრე მაყვლის ნარგავების ჩამოყალიბების შემდეგ. რთულად საკონტროლო მრავალწლიანი სარეველების აღმოფხვრა შესაძლებელია სისტემური ჰერბიციდით glyphosate-ით (Round-Up). ველური ჟოლო და მაყვალი წარმოადგენს დაავადების ინოკულანტის წყაროს და, ასევე, სრულად უნდა აღმოიფხვრას ნაკვეთიდან და მიმდებარე ადგილებიდან დარგვამდე.

დარგვის შემდეგ სარეველების კონტროლი უნდა ჩატარდეს დარგვიდან რაც შეიძლება მალე. ნარგავებში სარეველების ზრდა გაზრდის დაავადების პრობლემებს მაყვლის ნარგავებში ჰაერის მოძრაობის შემცირებით და, შესაბამისად, უფრო მაღალი ტენიანობის შენარჩუნებით ფოთლებსა და მთავარ ღეროებში. ამას გარდა, ზოგიერთი დაავადების გამომწვევი ორგანიზმი (ვერტიცილიური ჭკნობის სპორები და ვირუსული დაავადებები) შეიძლება დაგროვდეს ნაკვეთზე არსებულ ფართოფოთლოვან სარეველებში. რიგიდან უნდა მოსცილდეს ყველა სარეველა, საუკეთესოა, თუ 1 მეტრიანი რიგის სიგანე სარეველებისგან თავისუფალი იქნება. რიგში არსებული სარეველების მოცილება, ჩვეულებრივ, ხდება ხელით ამოგლეჯით ან თოხით.

რიგში სარეველების კონტროლი შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე ჰერბიციდის გამოყენებით. გამოსაყენებელი ჰერბიციდი დამოკიდებულია ნიადაგის ტიპზე, სარეველების სახეობებზე, წელიწადის დროზე, ჰერბიციდით დამუშავების დროსა და ნარგავის მსხმოიარობაზე. თუ სათანადო ჰერბიციდის გამოყენება არ მოხდა სწორ დროს, ამან შეიძლება სერიოზულად დააზიანოს მაყვლის ნარგავები. ჰერბიციდი napropamide (Devrinol) არის ეფექტური წვრილფოთლოვანი და ფართოფოთლოვანი სარეველების წინააღმდეგ. ჰერბიციდი napropamide (Devrinol) უსაფრთხო ქიმიური პრეპარატია, რომელიც ეფექტურია მრავალი ერთწლიანი წვრილფოთლოვანი და ფართოფოთლოვანი სარეველებისთვის, რომლებიც მაყვლის ნარგავებში ჩნდება. სარეველების აღმოცენებამდე მათთან საბრძოლველად სხვა ეფექტური ჰერბიციდებია: dichlobenil (Casoron), simazine (Princep), oryzalin (Surflan), და flumioxazin (Chateau). ეს ჰერბიციდები უფრო ხანგრძლივი დროით უზრუნველყოფენ სარეველების კონტროლს, თუმცა ისინი უნდა შეერიონ ნიადაგში. უკვე ამოსული ბალახოვანი სარეველები მაყვლის ნარგავებში შეიძლება ვაკონტროლოთ შემდეგი ჰერბიციდებით: sethoxydim (Poast) ან fluazifop (Fusilade). ორივე ეს ჰერბიციდი სელექციურია და არ დააზიანებს მაყვლის ნარგავებს.

მაყვლის რიგებს შორის ფართობი უნდა იყოს სარეველებისგან თავისუფალი ზედაპირული კულტივაციის გზით ან დაბალი ბალახის საფარის საშუალებით (სურათი 25). კულტივაციის შემთხვევაში უნდა მოერიდოთ რიგებს შორის ღრმად მოხვნას, რათა არ დაზიანდეს ფესვები და არ გაიზარდოს დაზიანებული ფესვის ქსოვილის არამდგრადობა დაავადებებისადმი. მაყვლის ფესვები არ არის ღრმა და რიგთაშორისები არ უნდა დამუშავდეს 1 სმ-ზე ღრმად, რათა არ მოხდეს მაყვლის ფართო ფესვთა სისტემის დაზიანება.

სურათი 25. მაყვლის ბუჩქების რიგი უნდა იყოს 90-100 სმ სიგანის და, დაახლოებით, 2 მეტრი სიმაღლის.

რიგთაშორისებში შეიძლება ჩამოყალიბდეს მუდმივი კორდი, რათა ტერიტორიაზე არ გავრცელდეს სარეველები, თუ არ გამოიყენება კულტივაცია. რიგთაშორის მანძილი რეგულარულად უნდა მოითიბოს, რათა ნიადაგის საფარის დაბალი დონე შენარჩუნდეს და აღმოიფხვრას სარეველების თესლის წარმოქმნა. ნიადაგის საფარი რიგთაშორისები უნდა ჩამოყალიბდეს რიგებს შორის ძლიერ დაქანებულ ადგილებში ნიადაგის ეროზიის შესამცირებლად. ნიადაგის საფარი მცენარეების კონკურენციის შედეგების შესამცირებლად მაყვლის რიგებში უნდა შენარჩუნდეს ნარგავებისგან თავისუფალი 1 მეტრიანი ზოლი.

რიგის სარეველებისგან დაცვის კიდევ ერთი გზაა მცენარის გარშემო მულჩის ქსოვილის ან სხვა სახის მულჩის გამოყენება. ეს მიზანშეწონილია მაყვლის ჯიშებისთვის, რომლებიც მთავარი ნარგავის ვარჯიდან გამოიღებენ ყლორტებს და არა ფესვთა სისტემიდან (სურათი 26).

სურათი 26. მაყვლის რიგში სარეველების ზრდის შემცირება შეიძლება სქელი პოლიეთილენის მულჩის გამოყენებით.

მავნებელი მწერები

მაყვლის მტერია სხვადასხვა ტიპის მავნებლები, მღეჭავი და მჩხვლეტავ-მწოველი მწერების დიდი სპექტრი. მწერების დაზიანებისადმი დაუცველია ყველა ქსოვილი, მათ შორის, ფესვები, ტოტები, ყუნწი, ფოთლები, ყვავილები, ნაყოფი. ქვემოთ აღწერილია მაყვლის ყველაზე გავრცელებული მავნებელი მწერები და მათთან ბრძოლის ღონისძიებები.

მარწყვის ცხვირგრძელა (Anthonomus signatus)

ცხვირგრძელა, დაახლოებით, 2.5 მმ სიგრძისაა, სხვადასხვა ფერის - მკრთალი წითლიდან თითქმის შავ შეფერილობამდე, მუქი ლაქით თითოეული ფრთის საფარის უშუალოდ ქვემოთ (სურათი 27).

სურათი 27. მარწყვის ცხვირგრძელა ხოჭო.

ზრდასრული ხოჭოები თავდაპირველად იკვებებიან თითქმის ზრდასრული ყვავილების კვირტების გახვრეტით. მოგვიანებით, მდედრი დებს კვერცხს კვირტის შიგნით, გარს ერტყმის კვირტს, უშლის ხელს გაშლაში; კვირტში ვითარდება ლარვები. შემდეგ, ზრდასრული მდედრი გადაჭრის ყუნწს და კვირტი ჩამოეკიდება ან მიწაზე დავარდება (სურათი 28). ლარვები იკვებებიან დაზიანებული კვირტის შიგნით 3-4 კვირის განმავლობაში; ზაფხულის შუა პერიოდში გამოდის ზრდასრული მწერების ახალი თაობა უშუალოდ აყვავილებამდე და აყვავილების პერიოდში.

როდესაც შენიშნავთ, რომ ნარგავები დაზიანებულია მავნებლით და მოწყვეტილია ყვავილის სულ მცირე ერთი კვირტი მაინც რიგის ერთი მეტრის მანძილზე, საჭიროა ინსექტიციდით დამუშავება. მის წინააღმდეგ რეკომენდებული ინსექტიციდები მოიცავს შემდეგ პრეპარატებს: malathion (Malathion), carbaryl (Sevin), bifenthrin (Brigade, Capture), imidacloprid (Admire, Provado), thiamethoxam (Actara), esfenvalorate (Asana) და fenpropathrin (Danitol).

მესაფლავე ხოჭო (Coleoptera species)

მაყვალი შეიძლება დააზიანოს თეთრი მესაფლავე ხოჭოს რამდენიმე სხვადასხვა სახეობამ. ზრდასრული ხოჭო ყავისფერია (ივნისის მწერები) და, დაახლოებით, 12-დან 18 მმ-მდე სიგრძისაა, აქვს მბზინავი საფარი და მოვერცხლისფრო მუცელი. გამოსვლის შემდეგ მათი აქტიურობა, დაახლოებით, ორ კვირას შეადგენს, თუმცა ძნელად შესამჩნევი არიან, ვინაიდან კარგად არ ფრენენ. კვერცხებს დებენ ნიადაგში, დაახლოებით, 3-6 სმ-ის სიღრმეზე და იჩეკებიან 3-4 კვირაში. ლარვები იკვებებიან მცენარის ფესვებით დაჭუპრებამდე ორი წლის განმავლობაში. ზრდასრული მატლი არის დიდი და მსხვილი. ჭუჭყიანი თეთრი მესაფლავე ხოჭო, დაახლოებით, 24-36 მმ სიგრძისაა, აქვს გამობერილი მუცელი და ყავისფერ თავთან ახლოს განლაგებული მკაფიოდ გამოკვეთილი თათები (სურათი 29). მიწიდან ამოთხრისას ლარვები ყოველთვის განლაგდებიან მოკაუჭებულად, „C” ასოს მსგავსად (სურათი 61).

ფიგურა 29. თეთრი მესაფლავე ხოჭოს მატლის განვითარების ეტაპები.

თეთრი მესაფლავე ხოჭოს მცენარის ნაწილებით კვების შედეგად ზიანდება ფესვები და ქერქი. ლარვების კვება იწვევს ფოთლების ფერის შეცვლას მოწითალო-მოყავისფრო შეფერილობამდე და ნაყოფი ხდება პატარა და მარცვლოვანი. დაზიანებული მცენარე ნელ-ნელა პატარავდება ფესვთა სისტემების განადგურებასთან ერთად. საბოლოოდ კი ჭკნება და ხმება. ნაკვეთზე ჩნდება ხმობადი ნარგავების თანდათანობით გაფართოებული ფართობები. ლარვების ნახვა ხშირად შესაძლებელია ფესვთა ზონაში, მათი ამოთხრისას. თეთრი მესაფლავე ხოჭო როგორც წესი, ნიადაგში შედის სტერილიზაციის გავლის გარეშე ფერმიდან შეტანილი ნაკელის დამატებით.

კალციუმის ქლორიდის ნაკელთან შერევით მნიშვნელოვნად შემცირდება თეთრი მესაფლავე ხოჭოს ინოკულანტი, ვინაიდან მოხდება ლარვების დაზიანება. ბრძოლის კიდევ ერთი მეთოდია ცისფერი წყლის დამჭერების გამოყენება, რომლებიც იზიდავს და ხოცავს ზრდასრულ ხოჭოებს. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ნიადაგის დამუშავება შეიძლება შემდეგი ინსექტიციდებით: diazinon (Diazinon), bifenthrin (Brigade, Capture), ან imidacloprid (Admire).

მინაფრთიანა მერქნიჭამია (Agrilus ruficollis)

მინაფრთიანა მერქნიჭამიას თავის უკანა ნაწილი მოწითალოა, სხეულის დანარჩენი ნაწილი შავია და მისი სიგრძე, დაახლოებით, 6 მმ-ია. ზრდასრული მდედრი კვერცხებს დებს ტოტებზე. ახალგამოჩეკილი მატლები შეიჭრებიან ტოტში და აკეთებენ გვირაბებს ღეროში, რის შედეგადაც ქერქი სკდება. მოყვითალო-მოთეთრო ლარვებს, რომელთა სიგრძე, დაახლოებით, 1.8 სმ-ია, აქვთ წყვილი მუქი ფერის პინცეტის მსგავსი კბილანები მუცელზე (სურათი 31).

სურათი 31. მინაფრთიანა მერქნიჭამია. ზრდასრული (მარცხნივ) და ლარვა (მარჯვნივ).

მაყვლის ღეროს დაზიანება იწვევს შეშუპებულ უბანს ანუ გალს, რომელიც ივლისში ან აგვისტოში ჩნდება (სურათი 32). ღეროს დაზიანების შემდეგ ლარვა შეიჭრება მასში და იქ, გულში ცხოვრობს. გაზაფხულზე ის დაჭუპრდება და საბოლოოდ ზრდასრული სახით გამოდის მაისში ან ივნისში. ძირითად დაზიანებას იწვევს ლარვა, როდესაც ის ღრღნის ღეროს, რის შედეგადაც ინვაზირებულ ღეროებზე მცირდება ნაყოფის წარმოქმნა. უკიდურეს შემთხვევებში, ღერო შეიძლება მაშინვე დაიღუპოს.

სურათი 32. ღეროს დასარყვა (მარცხნივ) და გალის ფორმირება (მარჯვნივ), რომელიც გამოწვეულია წითელკისერა მერქნიჭამიის კვების შედეგად.

მავნებლის კონტროლი ხდება ინვაზირებული ღეროების ამოჭრით და მოცილებით, მათი გამოჩენისთანავე. ასევე, რეკომენდებულია შემდეგი ინსექტიციდების გამოყენება: bifenthrin (Brigade, Capture), chlorantraniliprole (Altacor, Coragen) და acetamiprid (Assail). ინსექტიციდით დამუშავება უნდა დაიწყოს, როდესაც ნარგავების რიგში ღეროების, დაახლოებით, 5%-ს აღენიშნება დაზიანების სიმპტომები.

კენკრის ტკიპა (Acalitis assegi)

ზრდასრული კენკრის ტკიპა მიკროსკოპული ნახევრად გამჭვირვალე თეთრი ტკიპაა, რომელზე დაკვირვებისთვისაც საჭიროა 10-20x გამადიდებელი მინა. ტკიპის კვება ხელს უშლის მაყვლის ერთგვაროვნად დამწიფებას. კვებით გამოწვეული დაზიანების შედეგად შავ და მთლიანად დამწიფებულ ნაყოფზე ერთი ან რამდენიმე მარცვალი რჩება წითელი ფერის (სურათი 33). დაზიანებული მარცვლები არასოდეს მწიფდება, რის შედეგადაც მთლიანი ნაყოფი ხდება საჭმელად და სარეალიზაციოდ გამოუსადეგარი. საადრეო ჯიშებს, როგორც წესი, ნაკლები ზიანი ადგებათ კენკრის ტკიპით. საგვიანო ჯიშები, როგორებიცაა: Chester, Triple Crown, Navaho და Apache უფრო არამდგრადია კენკროვანთა ტკიპის მიმართ და კონტროლის არარსებობის პირობებში შეიძლება დაფიქსირდეს ხილის მნიშვნელოვანი დანაკარგი.

სურათი 33. ტკიპის კვება იწვევს მაყვლის მარცვლების წითლად დარჩენას.

ეფექტური კონტროლის ღონისძიებები მოიცავს მინერალური ზეთებით ან აკარიციდებით დამუშავებას. დამუშავება უნდა დაიწყოს მაშინვე, როგორიც კი მოსავლის აღების პერიოდისკენ მაყვალი ხდება ვარდისფერი. მცენარეთა დამცავი საშუალებით პირველი დამუშავების შემდეგ საჭიროა ორჯერ ან სამჯერ დამატებითი დამუშავება, რომელთა შორის პერიოდი 2 ან 3 კვირას უნდა იყოს. აღნიშნული დამუშავება, როგორც წესი, მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ტკიპის კონტროლს.

ტკიპებთან საბრძოლველად რეკომენდებულია აკარიციდია bifenazate (Acramite). მაყვლის ნარგავებში აკარიციდიების პოპულაციის შემცირებისთვის შეიძლება, ეფექტური იყოს, ასევე, მინერალური ზეთები. მინერალურ ზეთზე დაფუძნებული მასალებისთვის საჭიროა ნივთიერების უშუალო კონტაქტი კენკროვანთა ტკიპის სხეულთან.

თრიფსები (Frankliniella occidentalis)

თრიფსები ძალიან პატარა, თხელი, მფრინავი მწერია, რომლის სიგრძე, დაახლოებით, 1,5 მმ-ია და რომელსაც ბუმბულით შემოსილი ფრთები აქვს. ზრდასრულ თრიფსებს აქვს ყავისფერი ან ყვითელი სხეული (სურათი 34). თრიფსების აღმოჩენა შესაძლებელია ყვავილების ან ნაყოფის მტევნის სწრაფად დარტყმით თეთრ ან ლურჯ ქაღალდზე. თრიფსების პოპულაციის სიმჭიდროვე მაყვლის ნაკვეთში შეიძლება მიახლოებით შეფასდეს ლურჯი ან ყვითელი წებოვანი ხაფანგების გამოყენებით.

სურათი 34. ზრდასრული თრიფსი.

როგორც ზრდასრულ, ისე, ლარვას სტადიაზე, ის იკვებება ხილის და ნაყოფის ზედაპირის გაკაწვრით და წუწნით. ამან შეიძლება გამოიწვიოს ყვავილის ჩამოვარდნა და ნაყოფის დეფორმაცია (სურათი 35). თრიფსი აფერხებს მცენარის ზრდას და იწვევს ფოთლის დამახინჯებას. მას, ასევე, შეუძლია მაყვალზე ვირუსული დაავადებების გავრცელება.

სურათი 35. ყვავილობის დროს თრიფსებით გამოწვეული დაზიანების შედეგად დამტვერვა არასათანადოა (მარცხნივ) და ხდება ნაყოფის დეფორმირება (მარჯვნივ).

თრიფსების კონტროლისთვის რეკომენდებული ინსექტიციდებია: malathion (Malathion), imidacloprid (Admire, Provado), and acetamiprid (Assail). გარდა ამისა, ბიოლოგიური გზებით მიღებული ინსექტიციდი pyrethrin (Pyganic) უზრუნველყოფს თრიფსების დათრგუნვას.

იაპონური ხოჭო (Popillia japonica)

იაპონური ხოჭო – ესაა დიდი ზომის, მასიური ხოჭო (12-15 მმ სიგრძის), რომელიც ლითონური ბზინვის მქონე მოყავისფრო–მომწვანო ფერისაა და ზურგზე აქვს ერთი მწვანე ზოლი. ისინი ინტენსიურად იკვებებიან ფოთლის ძარღვებს შორის არსებული ქსოვილებით, ასევე, მწიფე ნაყოფით (სურათი 36). ზრდასრული იაპონური ხოჭო ფოთლებიდან მხოლოდ ძარღვების „ჩონჩხს“ ტოვებს, გამოჭამს ფოთლის უბნებს ძარღვებს შორის და იწვევს ფოთლების დაფაცხავებას. იაპონური ხოჭოს მიერ გამოჭმული ფოთოლი მალე ჭკნება და იღუპება. ზრდასრული ხოჭოს აქტიურობის პერიოდია ივნისის ბოლო და ივლისის დასაწყისი, როდესაც ხილი იწყებს დამწიფებას. მწერები კვებას აგრძელებენ მრავალი კვირის განმავლობაში.ზრდასრული ხოჭოს ცნობა იოლია, მის მიერ მაყვლის ფოთლებით კვება იწვევს მათ დანაკუწებას.

სურათი 36. ზრდასრული იაპონური ხოჭოს მიერ მაყვლის ფოთლით კვება (მარცხნივ) იწვევს ფოთლის მასშტაბურ დაზიანებას (მარჯვნივ).

მაყვლის ნაკვეთში იაპონური ხოჭოს კონტროლი მოიცავს მცენარიდან მის ხელით მოცილებას კვების ლოკალიზებულ უბანზე. ეს მნიშვნელოვანია მათი დაგროვების თავიდან ასაცილებლად, ვინაიდან იაპონური ხოჭოები იზიდავენ ერთმანეთს. იაპონური ხოჭოს მიერ გამოწვეული დაზიანების ყველაზე დიდი წილი ივნისში და ივლისში ფიქსირდება, როდესაც ისინი შეჯვარდებიან, დებენ კვერცხებს და იკვებებიან მაყვლის ნაყოფით და ფოთლებით. როგორც ლარვა, ისე, ზრდასრული ხოჭო იკვებება მაყვლის ნაყოფით.

იაპონური ხოჭოს პოპულაციის კონტროლისთვის საჭიროა მაყვლის ნაკვეთში ხაფანგების გამოყენება (სურათი 37). იაპონური ხოჭოს კონტროლისთვის გამოსაყენებლად რეკომენდებული ინსექტიციდებია: malathion (Malathion), carbaryl (Sevin), imidacloprid (Admire, Provado), bifenthrin (Brigade, Capture), esfenvalorate (Asana), acetamiprid (Assail), thiamethoxam (Actara), zeta-cypermethrin (Mustang Max და bifenthin plus zeta-cypermethrin (Hero). გარდა ამისა, ბიოლოგიური გზებით მიღებული ინსექტიციდები: azadirachtin (Azatrol), spineosad (Success, Entrust) და pyrethrin (Pyganic) უზრუნველყოფენ იაპონური ხოჭოს პოპულაციების დათრგუნვას.

სურათი 37. იაპონური ხოჭოს ხაფანგი, რომელიც გამოიყენება ნაკვეთზე პოპულაციის დონეების მონიტორინგისთვის.

მავნე კუსებურა (Chinavia hilaris, Euschistus servus)

მაყვლით იკვებება მავნე კუსებურას რამდენიმე სახეობა, თუმცა ყველა მათგანის ცხოვრების ციკლი და მათ მიერ გამოწვეული დაზიანება მსგავსია. ზრდასრული მავნე კუსებურა არის გამოკვეთილად ფარის ფორმის და ყავისფერი ან მწვანე ფერის, 12-25 მმ სიგრძის. კვერცხები წააგავს დოლს, მათ დებენ კლასტერებად, ფოთლებზე (სურათი 38). ნიმფები გვანან ზრდასრულებს, თუმცა არ აქვთ განვითარებული ფრთები. მავნე კუსებურას დანახვა იოლია; ისინი გამოსცემენ მძაფრ, ძალიან უსიამოვნო სუნს.

სურათი 38. მავნე კუსებურას კვერცხები და ახალგამოჩეკილი ნიმფები (მარცხნივ) და ზრდასრული (შუაში და მარჯვნივ).

სურათი 39. ცალკეული მარცვლები თეთრდება, რაც მავნე კუსებურას კვების დამახასიათებელი სიმპტომებია.

მავნე კუსებურას იზიდავს როგორც განვითარების სტადიაში მყოფი, ისე, მწიფე მაყვალი. მავნე კუსებურას აქვს მჩხვლეტავ-მწოველი პირი და იკვებება ყვავილსაჯდომზე. ნაყოფისთვის კვებით მიყენებული დაზიანების შედეგად ცალკეული მარცვლები თეთრდება, ზოგიერთ მათგანს აღენიშნება კვებით გამოწვეული დაზიანება (სურათი 39). ეს ნაყოფი არ იქნება სარეალიზაციოდ ან საკვებად ვარგისი.

მავნე კუსებურას კონტროლისთვის რეკომენდებული ინსექტიციდებია: bifenthrin (Brigade, Capture), esfenvalorate (Asana), acetamiprid (Assail), imidacloprid (Admire), fenpropathrin (Danitol), thiamethoxam (Actara), lambda-

cyhalothrin (Warrior II), zeta-cypermethrin (Mustang Max) და bifenthin plus zeta-cypermethrin (Hero). გარდა ამისა, ბიოლოგიურად მიღებული ინსექტიციდები: azadirachtin (Azatrol), spineosad (Success, Entrust) და pyrethrin (Pyganic) უზრუნველყოფს პოპულაციების დათრგუნვას. თუმცა, მათი გამოყენების ეფექტი არ არის ისეთივე დაუყოვნებლივი, როგორც სხვა სინთეზური ინსექტიციდებისა.

ციტრუსის ფოთოლხვევია (Argyrotaenia francisana)

მაყვლის ნარგავები შეიძლება დააზიანოს ციტრუსის ფოთოლხვევის რამდენიმე სხვადასხვა სახეობამ. ციტრუსის ფოთოლხვევია მსოფლიოს ყველა ნაწილშია გავრცელებული. ლარვების შეფერილობა შეიძლება იყოს ღია ყავისფერი ან მოყვითალო-მომწვანო, ყავისფერი თავით. ზრდასრული ლარვების სიგრძე, დაახლოებით, 20 მმ-ია, თუმცა შეიძლება სულ რაღაც 2-3 მმ იყოს. შეხებისას ისინი ირხევიან და ეცემიან მიწაზე აბრეშუმისმაგვარი ძაფით. როდესაც დახვეული ფოთლები ერთად არის შეკრული და წარმოქმნის დამცავ ბუდეს, ეს მიანიშნებს ფოთოლხვევიას ლარვების არსებობაზე. ზრდასრულთა პეპელა ღია ყავისფერი ან რუხია, რომელსაც წინაფრთებზე შედარებით მუქი ლაქა აქვს (სურათი 40).

სურათი 40. ციტრუსის ფოთოლხვევიის ლარვა (მარცხნივ) და ზრდასრული (მარჯვნივ).

ლარვები გამოიზამთრებენ ღეროებსა და გამხმარ ფოთლებში. შეიძლება, იკვებონ ზამთარში თბილი პერიოდების განმავლობაში. ლარვები აქტიურდებიან გაზაფხულზე. ზრდასრული პეპლები ჩნდებიან გაზაფხულის ბოლოს და დებენ კვერცხებს. ზაფხულში პირველი გამოჩეკვა ხშირად ემთხვევა მოსავლის აღებას და ლარვებს შეუძლიათ გამოიწვიონ ფოთლის და ნაყოფის მნიშვნლოვანი დაზიანება (სურათი 41). ციტრუსის ფოთოლხვევიის კვებით გამოწვეული დაზიანება როგორც წესი, გვხვდება ახალ ფოთლებზე. სიმპტომებია ახალი ფოთლის ქსოვილის დაგრეხილი მასები. მოხვეული ქსოვილის შიგნით ხშირად დაბუდებულია პატარა მუქი მწვანე ლარვა, რომელსაც აქვს შავი თავი და თორაკალური დამცავი საფარი. ზრდასრული ლარვა, როგორც წესი, გადაკეცავს ფოთლის ნაწილს, წარმოქმნის ღრუს, სადაც დაჭუპრდება. ლარვები იკვებებიან, ასევე, კენკრით და შეიძლება, შეუმჩნეველი დარჩნენ მოსავლის აღებამდე.

ფიგურა 41. ციტრუსის ფოთოლხვევიის ლარვა გამოდის განვითარებადი მაყვლის ფოთლიდან (მარცხნივ) და ნაყოფიდან (მარჯვნივ).

ციტრუსის ფოთოლხვევიის კონტროლისთვის ეფექტურია სხვადასხვა ინსექტიციდები, მათ შორისაა: carbaryl (Sevin), bifenthrin (Brigade, Capture), spinetoram (Delegate), spinosad (Entrust, Success), chlorantraniliprole (Altacor, Coragen), tebufenozide (Confirm), და fenpropathrin (Danitol).

ნარინჯისფერი ფოთოლხვევიის ლარვის პოპულაციების შემცირებისთვის ეფექტურია, ასევე, ბიოლოგიური კონტროლის აგენტი Bacillus thuringiensis (Bt). B.t. არის უაღრესად შერჩევითი ბაქტერია, რომელიც აწარმოებს კუჭის შხამს და ხოცავს მხოლოდ ლარვებს მას შემდეგ, რაც ისინი შეჭამენ დამუშავებული მცენარის ქსოვილს. მწერი შეიძლება რამდენიმე დღეში დაიღუპოს. დამუშავების დროის შერჩევა ძალიან მნიშვნელოვანია Bt-ს წარმატებული შედეგისთვის. ასევე, B.t. არ ინარჩუნებს ეფექტურობას დამუშავებიდან ძალიან დიდი ხნის განმავლობაში. B.t. მგრძნობიარეა მზის სინათლისადმი და 5-7 დღეში იშლება. Bt-ს მოქმედება სტანდარტულ ინსექტიციდებთან შედარებით ნელია, თუმცა არ არის საზიანო სასარგებლო მწერების ან მტაცებლებისთვის.

ბუგრი

ბუგრი – ესაა პატარა (2-10 მმ სიგრძის) მსხლის ფორმის, რბილი სხეულის, მწუწნავი მწერი, რომელსაც აქვს პატარა თავი და წყვილი ულვაში ან „გამოსაბოლქვი მილები" (სურათი 42). ბუგრის უმეტესობა იკვებება ახალი ამონაყარით და კვირტებით, ახალგაზრდა ფოთლების ქვედა მხარით და ფოთლის ყუნწით. ბუგრი მჩხვლეტავ–მწუწნავი მწერია, რომელიც ამოწოვს უჯრედის წვენს. ამას გარდა, მათი კვების შედეგად შეიძლება გავრცელდეს დაავადება, განსაკუთრებით, მოზაიკური ვირუსები. ამ ვირუსებს შეუძლია მცენარის ზრდის შეფერხება, ფოთლების დამახინჯება, გაუფერულება და ყვავილებისა და ნაყოფის წარმოქმნის შემცირება.

ბუგრი გამოიზამთრებს კვერცხის ფაზაში; კვერცხები იჩეკება გაზაფხულზე. მომწიფებული ახალგაზრდა ბუგრი ფრთიანი ან უფრთო მდედრია, რომელიც ზაფხულის განმავლობაში აჩენს ცოცხალ მწერებს. ფრთიანი ფორმის მქონე ბუგრს შეუძლია ფრენა დიდ მანძილებზე. ვირუსული დაავადების ალბათობის შესამცირებლად ძალიან მნიშვნელოვანია ნაკვეთის მახლობლად ველური ჟოლოს და და, ასევე, ყველა ვირუსით დაინფიცირებული გაშენებული მაყვლის აღმოფხვრა. ამას გარდა, უაღრესად მნიშვნელოვანია დაირგოს მხოლოდ სერტიფიცირებული, ვირუსისგან თავისუფალი სარგავი მასალა.

სურათი 42. ზრდასრული ბუგრი და ბუგრი ნიმფას ფაზაში.

ბუგრთან საბრძოლველად გამოიყენება შესასხურებელი ინსექტიციდები, როდესაც ფოთლის ნიმუშის მიხედვით შეიძლება დასკვნა, რომ ბუგრი საზიანო დონეს აღწევს. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ნაკვეთის სხვადასხვა უბნიდან იღებენ ფოთლებს და გამოითვლიან ფოთლების რამდენ პროცენტს ჰყავს ბუგრი. შესხურება საჭიროა, თუ ინვაზიის დონე აღწევს 30 პროცენტს. ბუგრის კონტროლისთვის რეკომენდებული ინსექტიციდებია: malathion (Malathion), carbaryl (Sevin) და acetamiprid (Assail). ბუგრს თავს ესხმიან ზოგადი მტაცებლები: green lacewing larvae, convergent lady beetle, Aphidius spp და რამდენიმე სახეობის პარაზიტული კრაზანა. ისინი ბიოლოგიური კონტროლის კარგი საშუალებებია.

ფრთათეთრა (Bemesia tabaci)

ფრთათეთრა მავნებელი მწერია, რომელმაც შეიძლება სერიოზულად დააზიანოს სათბურებში გაშენებული მაყვალი. ზრდასრული მწერები გვხვდება მჭიდრო კოლონიების სახით ფოთლის ქვედა მხარეს, რომლებიც შეხებისას ფრენენ. ზრდასრული ფრთათეთრა პატარა თეთრი მწერია, რომელიც, დაახლოებით, 1,5 მმ სიგრძისაა (სურათი 44). მას აქვს ოთხი ფრთა, რომლებიც სხეულის ზედა ნაწილში პარალელურადაა განლაგებული და დაფარულია თეთრი ცვილით. ზრდასრული მწერი დებს პაწაწინა, ელიფსურ კვერცხებს ფოთლების ქვედა მხარეს. ფრთათეთრას განვითარებას კვერცხის ფაზიდან ზრდასრულ ფაზამდე სჭირდება სულ რაღაც 18 დღე, 27 –32°C ტემპერატურის პირობებში.

სურათი 44. ფრთათეთრას განვითარების სხვადასხვა ეტაპი.

ფრთათეთრა უპირატესად ეტანება მცენარის წვნიან, აქტიურად მზარდ ქსოვილს. ის იკვებებება წვენით და მცენარეს აზიანებს, რაც ამცირებს მის სიძლიერეს. Whiteflies-ისთან ბრძოლისთვის ეფექტური ინსექტიციდებია შემდეგი პრეპარატები: acetamiprid (Assail), bifenthrin (Brigade, Capture), imidacloprid (Admire), thiamethoxam (Actara), esfenvalorate (Asana), და fenpropathrin (Danitol). ამასთან, ფრთათეთრას კონტროლი შესაძლებელია, ასევე, პარაზიტი კრაზანით და სასარგებლო მტაცებელი მწერებით. მათ ბუნებრივ მტრებს შორისაა: ჭიამაიები, ხოჭოები, ენკარზია Encarsia FORMOSA და პარაზიტი მავნებლები. ბიოლოგიური კონტროლის ეფექტურობას ზრდის მტვრის შემცირების მიზნით ნაკვეთის გზების მორწყვა. Whitefly-ის კონტროლის კიდევ ერთი ეფექტური მეთოდია მწერების მოსაზიდად ყვითელი წებოვანი მახეების განლაგება მთელი ნაკვეთის მასშტაბით.

ქვემოთ წარმოდგენილია მაყვლის სხვადასხვა მავნებლის კონტროლისთვის რეკომენდებული ინსექტიციდების ეფექტურობის მონაცემები:

მაყვლის მწერებსა და ტკიპებთან ბრძოლისთვის გამოყენებული ინსექტიციდების ეფექტურობა								
ინსექტიციდი					მწერი			
მოქმედი ნივთიერება	კომერც. სახელწ.	თრიფსები	ფოთოლ-ხვევია	ცხვირგრძელა	მერქნიჭამია	კუსებურა	იაპონური ხოჭო	ტკიპები
bifenazate	Acramite							დიახ
chlorantraniliprole	Altacor, Coragen		დიახ				დიახ	
Spinosad	Success, Entrust		დიახ				დიახ	
Diazinon	Diazinon				დიახ			
imidacloprid	Admire კონფიდორი	დიახ		დიახ		დიახ	დიახ	
acetamiprid	Assail ტემპი	დიახ				დიახ		
bifenthrin	Brigade, Capture		დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	
thiamethoxam	Actara			დიახ		დიახ	დიახ	
esfenvalorate	Asana			დიახ		დიახ	დიახ	
fenpropathrin	Danitol		დიახ	დიახ		დიახ		
malathion	Malation	დიახ		დიახ			დიახ	
carbaryl	Sevin		დიახ	დიახ			დიახ	
spinetoram	Delegate		დიახ					
tebufenozide	Confirm		დიახ					
bifenthrin + zeta-cypermethrin	Hero		დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	
zeta-cypermethrin	Mustang Max					დიახ	დიახ	
pyrethrum	Pyganic	დიახ				დიახ	დიახ	
Azadirachtin	Azitrol					დიახ	დიახ	

დაავადებები

